დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის №1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირინა დვალი

წევრები:

ფიქრია მახარაშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ნინო გოგორელიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
სოფიკო სიუკაევა- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ზურაბ ურიადმყოფელი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ინგა ხრიკაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ხათუნა მარკოზაშვილი - საინფორმაციო ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ნანა შალამბერიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ირინე შარაბიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
გიორგი ბერიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის №1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	241572589

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ყვარლის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალსოფელი
საფოსტო ინდექსი	4800
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Akhalsopeli1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 2 თებერვლის MES 1 26 0000170613 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	16-17 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

№	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალსოფელი, შენობა №1-5969.7კვ.მ
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალსოფელი, შენობა №1-5969.7კვ.მ

3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალსოფელი, შენობა №1-5969.7კვ.მ

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულმა ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დაწყებამდე შეისწავლა სკოლის თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია. დისტანციურად გაიმართა საგნობრივ ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრები, როდესაც განხილულ იქნა ვიზიტის საორგანიზაციო საკითხები, შემუშავდა დღის წესრიგი და წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გაეგზავნა წინასწარ. სკოლაში განხორციელებული ვიზიტი წარიმართა წინასწარ გათვალისწინებული დღის განრიგის შესაბამისად, მშვიდ და საქმიან გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეისწავლა სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფია (შემუშავების, გაზიარების, გასაჯაროების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და მექანიზმების პრაქტიკაში მოქმედება), ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით სკოლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობა, დაათვალიერა საგნობრივ კურიკულუმებთან დაკავშირებული დაწესებულების სასწავლო გარემო, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები. გაესაუბრა სკოლის წარმომადგენლებს: დირექციას, მასწავლებლებს. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი აქტიურად ჩაერთო სახელმწიფო ენის, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრების მასწავლებელთა ინტერვიუირების პროცესში შესაბამის საგნობრივ ექსპერტებთან ერთად და თავისი მოსაზრებები თუ რჩევები გაუზიარა მათ. ზემოაღნიშნულის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი დასკვნის პროექტი. ექსპერტებმა წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად, გამოკვეთილი მიგნებები გააცნეს დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს არაფორმალურ განათლებას, რისთვისაც ფუნქციონირებს კლუბები: ეკოკლუბი, თეატრალური წრე, სკოლის გუნდი.

ეკოკლუბის ღონისძიებებს ძირითადად გეგმავენ და წარმართავენ სკოლის თვითმმართველობის წევრები. მათ გაამწვანეს სკოლის ეზო, დარგეს ნაძვები. სისტემატურად აგროვებენ მაკულატურას. სკოლის შენობაში მუდმივად დგას მწვანე ყუთი.

სკოლის გუნდში მონაწილეობენ მე-2-მე-12 კლასის მოსწავლეები. ისინი ყველა საერო და სასულიერო დღესასწაულის დღეებში ასრულებენ თემატურ სიმღერებს, ხშირად მონაწილოებენ მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.

აღსანიშნავია, რომ სკოლაში მაღალია მშობელთა ჩართულობა არაფორმალურ აქტივობებში. 2025 წლის ნოემბერში პირველი-მეშვიდე კლასების მოსწავლეთა მონაწილეობით ჩატარდა შემოდგომის ფესტივალი, რომელშიც მოსწავლეებთან ერთად აქტიურად ჩაებნენ მათი მშობლები, მათ ხალისიანად მორთეს შემოდგომის კუთხეები კახეთისთვის დამახასიათებელი ატრიბუტებითა და საქმიანობების ამსახველი შრომის იარაღებით. შვილებთან ერთად მშობლები წარუდგენდნენ ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს თავიანთ კუთხეებს. ფესტივალი დასრულდა კონცერტით.

პროფესიული ორიანტაციის ფარგლებში საინტერესო იყო ერთ-ერთი მასწავლებლის მიერ განხორციელებული პროექტი: ჩემი მშობლის პროფესია. მშობლები ეტაპობრივად ხვდებოდნენ მოსწავლეებს, ესაუბრებოდნენ თავიანთი პროფესიის დანიშნულებაზე, მის ხიბლზე, წარმოადგენდნენ თავიანთ საქმიანობას სტილისტები, დიზაინერები, ვიზაჟისტი, ბუღალტერი, პოლიციელი, ექიმები და ა. შ.

2026 წლის აპრილში დაგეგმილია სპორტული ღონისძიება „მხიარული სტარტები“, რომელშიც კლასის ხელმძღვანელებთან და მოსწავლეებთან ერთად მშობლებიც შეეჯიბრებიან ერთმანეთს. მაისში ჩანიშნულია მშობელთა შემოქმედებითი საღამოს ჩატარება.

აღსანიშნავია სკოლის მასწავლებელთა მონაწილეობა რაიონულ თუ შიდასასკოლო კონფერენციებში. ათ წელზე მეტია, რაც რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა პრაქტიკაში დანერგა რაიონის მასწავლებელთა კონფერენციების ჩატარება, ყოველ რაიონულ კონფერენციას წინ უძღვის მასწავლებელთა სასკოლო კონფერენცია, რომელზეც სკოლის მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, აკეთებენ პრეზენტაციას, კონფერენციას ესწრებიან სკოლის დირექცია და მასწავლებლები, რომლებიც გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებას, რჩევა-რეკომენდაციებს, თავადაც იღებენ მათთვის მისაღებ პრაქტიკას. გამომსვლელებისგან საუკეთესოს ეძლევა საშუალება, რომ საკუთარი პრაქტიკა გაუზიაროს რაიონის მასწავლებლებს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ შეესაბამება

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 500	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი №1	**სკოლის ფილოსოფია**	**ხარვეზი**
ინდიკატორი №		
სტანდარტი №3	**სასწავლო პროცესი ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**ხარვეზი**
ინდიკატორი №		
სტანდარტი №4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**ხარვეზი**
ინდიკატორი №		
სტანდარტი №2	**სასკოლო კურიკულუმი**	**ხარვეზი**
ინდიკატორი №		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი №1	**სკოლის ფილოსოფია**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი №...		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი №3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი №3.1.2.4	**პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადაში, 2026 წლის სექტემბრამდე, ფიზიკასა და ფიზიკური აღზრდაში/სპორტში აიყვანოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კადრი-სტატუსების მქონე მასწავლებლები
ინდიკატორი №3.4.1.1.	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**	სკოლას მიეცა რეკომენდაცია: ა) შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადაში, 2026 წლის 8 ნოემბრამდე: საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ბ) შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადაში, 2026 წლის 25 ოქტომბრამდე: მოიპოვოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა,

სტანდარტი №4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი №		

სტანდარტი №2	**სასკოლო კურიკულუმი** ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურები	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი №2.2.2.4	**სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადაში, 2026 წლის სექტემბრამდე, ფიზიკასა და ფიზიკური აღზრდაში/სპორტში აიყვანოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კადრი-სტატუსები მქონე მასწავლებლები

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი №1	**სკოლის ფილოსოფია**	**რჩევა**
ინდიკატორი №1.1.1.3	**სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები დამტკიცებული აქვს სკოლის პედსაბჭოს, როგორც ეს მეთოდოლოგიითაა სტრატეგიული დაგეგმვის მეოდოლოგითაა განსაზღვრული. ამასთან, მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის ნაწილს, რომელიც დაამტკიცა სამეურველო საბჭომ. სასურველია, მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან ამოღებულ იქნეს ჩანაწერი, რომ სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს

		ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო და ჩაიწეროს, რომ მას, როგორც სტრატეგიული გეგმის ნაწილს, ამტკიცებს კოლეგიალური ორგანო-სკოლის სამეურვეო საბჭო.
სტანდარტი №3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი №3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	სასურველია განახლდეს სკოლის შინაგანაწესი და მასში გათვალისწინებული იყოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივნისის №108/ნ ბრძანება „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“
ინდიკატორი №3.1.2.2	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა	ინტერვენციული პოლიტიკის მექანიზმი სკოლამ გაითვალისწინოს/გაწეროს სასკოლო სასწავლო გეგმაში/შინაგანაწესში/ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.
ინდიკატორი №3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის	სასურველია, სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

	მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	

ინდიკატორი №3.5.1.3.	**სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**	სასურველია სკოლის ბიბლიოთეკარმა გაიაროს ტრენინგი საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდების თაობაზე
სტანდარტი №4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი №.		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	რჩევა
ინდიკატორი №2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	<u>ესთეტიკური აღზრდა</u> სასურველია კათედრამ გააქტიუროს თანამშრომლობითი კულტურა. მიმართოს გამოცდილების გაზიარების პრაქტიკას, დააზუსტოს საჭიროებები და შესაბამისად ასახოს ცვლილებები კურიკულუმში. <u>კომპიუტერული საინფორმაციო ტექნოლოგიები</u> • სასურველია, გადაიხედოს საგნობრივი კურიკულუმები და თითეული სამიზნე ცნება მოყვანილ იქნას შესაბამისობაში საგნობრივ სტანდარტთან (მაგ, მე-3 კლასი - კომპიუტერის აგებულება, სამიზნე ცნებაა „კომპიუტერის ფუნქციონირების პრინციპები“); • სასურველია, საფეხურის დონეზე დაფარულ იქნას ყველა სამიზნე ცნება სტანდარტის მიხედვით რეკომენდირებული ცნების შესაბამისი საკითხებით;

		• სასურველია, დაკორექტირდეს კურიკულუმის ჩარჩო შუალედური დავალებით ორი ან მეტი სამიზნე ცნების დამუშავების შემთხვევაში, სამიზნე ცნების შესაბამისი საკითხები მიეთითოს სამიზნე ცნების გასწვრივ; ჩარჩო კურიკულუმის თითოეული კომპონენტი შეივსოს შესაბამისად. დავალების იდეის სათაურთან ერთად იყოს ამ დავალების მოკლე აღწერა, კონტექსტ-მაგალითის ან რესურსების ყველა ბმული იყოს აქტიური და სამიზნე ცნების/საკითხების შესაბამისი საკითხების სვეტში მიეთითოს არა ქვესაკითხები, არამედ საგნობრივი სტანდარტით რეკომენდირებული საკითხები. **<u>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური</u>** კურიკულუმში გაიწეროს სასწავლო საათები როგორც ჯამურად ასევე თემების მიხედვით, ყველა კლასში.
ინდიკატორი №2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>** სასურველია, დაწყებით საფეხურზე, მე-3 და მე-4 კლასების ბუნებისმეტყველების საგნობრივი წლიური პროგრამების ამსახველ დოკუმენტში-კურიკულუმში ისევე ზუსტად აისახოს თემებისა და სამიზნე ცნებების მჭიდრო კორელაცია საგნობრივ სტანდარტთან, როგორც ეს არის დაწყებითის დანარჩენ კლასებსა და საბაზო/საშუალო საფეხურების საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში. **<u>უცხოური ენები</u>** ინგლისური ენის კურიკულუმებში, სასურველია სამიზნე ცნებები არ იყოს წარმოდგენილი ზოგადი, ფართო სახით, არამედ იყოს მეტად დაკონკრეტებული ქვეცნებებისა და საფეხურის შედეგების მიხედვით. ასევე დაწყებით საფეხურზე, სასურველია მითითებული იყოს შესაბამისი (I-IV კლასების) სტანდრტის სამიზნე ცნებები და შედეგები. **<u>საინფორმაციო ტექნოლოგიები</u>** სასურველია მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალებები, შემაჯამებელი დავალებები, ასევე მასწავლებლის ანგრიშში ასახული დავალებები შესაბამისობაში მოვიდეს შესაბამისი კლასის საგნობრივ კურიკულუმთან; კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებები იყოს დროში განხორციელებადი ერთი კვირეული საათის შემთხვევაში.

ინდიკატორი №2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u> სასურველია, კურიკულუმებში ყველა ძირითად საკითხთან მიმართებით იყოს სრულად შევსებული რესურსების გრაფა. <u>ესთეტიკური აღზრდა</u> სასურველია მასწავლებლებმა სამივე საფეხურის კურიკულუმების შესაბამის ველში სრულად შეიტანონ ის ელექტრონული ბმულები თუ მატერიალური რესურსები, რომლებსაც იყენებებენ გაკვეთილებზე. <u>სახელმწიფო ენა</u> მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, **განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურზე** სასურველია რესურსების გამრავალფეროვნება. რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, მიუთითეთ აუდიო-ვიდეო მასალა, რესურსები შესაბამისი ბმულებით,რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. **საინფორმაციო ტექნოლოგიები** სასურველია, კათედრის სხდომის ოქმით რესურსების დანართით გათვალისწინებული იყოს როგორც საგნობრივი კურიკულუმით გათვალისწინებული ელექტრონული და ბეჭდური რესურსები, ისე სსსმ მოსწავლისათვის გათვალისწინებული ის რესურსები, რომელიც წარმოდგენილია სსსმ მოსწავლის ინდუალურ სასწავლო გეგმაში (საგანი - კომპიუტერული საინფორმაციო ტექნოლოგიები); სასურველია, რესურსების შერჩევისას მასწავლებელმა გაითვალისწინოს რესურსების შერჩევის ვალიდაციის წესი. <u>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური</u> მათემატიკაში მე-2 კლასის კურიკულუმში გაიწეროს დამხმარე და ციფრული რესურსები.
ინდიკატორი N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და	<u>უცხოური ენები</u>

	ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	სკოლამ ინდ. გეგმით გათვალისწინებული აქტივობები მოარგოს მესამე თაობის, ეროვნული სასწავლო გეგმის, უცხო ენის სტანდარტის გრძევადიან მიზნებსა და საფეხურის შედგებს, რაც ზოგიერთ შემთხვევაში გასაუმჯობესებილია, კერძოდ: ინგლისური ენაში, მე-3-მე-5 კლასები და რუსულ ენაში - მე-5კლასი. ასევე, სასურველია ინდ. გეგმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება ტარდებოდეს ყოველი სემეტრის ბოლოს. **<u>საინფორმაციო ტექნოლოგიები</u>** სასურველია, გადაიხედოს სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და თითოეული კომპონენტი შესაბამისობაში მოვიდეს საგნობრივ სტანდარტთან; სასურველია, ისგ-ში დაიფაროს ის სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი კლასის საგნობრივი კურიკულუმით, შესაძლებელია წინა კლასის, მაგრამ არა მომდევნო კლასის კურიკულუმით განსაზღვრული საგნობრივი ცნების შესაბამისი საკითხებისა; სასურველია, სკოლის მიერ შემუშავებულ იქნას შემოქმედებითი დავალების ბარათი მშობელთათვის/მოსწავლეთათვის, სადაც მოცემული იქნება დიფერენცირებული დავალებები მზაობის მიხედვით, ასევე მრავალდონიანი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**<u>უცხოური ენები</u>** აუცილებელია, კრიტერიუმებად სკოლამ იხელმძღვანელოს კონკრეტული საფეხურის შეაბამისი სტანდარტის გრძლევადიანი მიზნებით, რათა თავიდან იქნას აცილებული სამიზნე ცნებებისა და შედეგების აღრევა. მაგალითად, ინგლისურ ენაში ნიმუშად წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის შეფასების რუბრიკებში, კრიტერიუმებად მითითებულია საბაზო საფეხურის სტანდარტის სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საფეხურის შედგები. ასევე, საშუალო საფეხურის შეფასების რუბრიკებში მითითებულია საბაზო საფეხურის სტანდარტის სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საფეხურის შედგები.

		<u>ესთეტიკური აღზრდა</u> სახვით და გამოყენებით ხელოვნების საგანში დაწყებითი და საბაზო საფეხურიზე შეიქმნას: განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კურიკულუმში გაწერილი თემების ფარგლებში სამიზნე ცნების, მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით, შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით. <u>საინფორმაციო ტექნოლოგიები</u> სასურველია, სკოლამ მოახდინოს სოლოტაქსონომიით წარმოდგენილი შეფასების რუბრიკის კორექტირება, გაიწეროს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებები; სასურველია, წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით გათვალისწინებული კრიტერიუმები ჩაიშალოს ქვეკრიტერიუმებად შეფასების დონეების მიხედვით (გამოყენებულ იქნას მრავალდონიანი შეფასების რუბრიკები).
ინდიკატორი N 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	<u>ესთეტიკური აღზრდა</u> კათედრამ სამუშაო პროცესის გაანალიზების და შედეგების შეჯამების შემდეგ, პროცესში წარმოშობილი წინააღმდეგობების შესაბამისად, მიგნებებისა და საჭიროებების მიხედვით ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში. <u>საინფორმაციო ტექნოლოგიები</u> სასურველია, სკოლის მიერ წარმოდგენილი ყველა სახის დავალება შესაბამისობაში მოვიდეს საგნობრივ კურიკულუმებთან.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	<u>ესთეტიკური აღზრდა</u> სახვით და გამოყენებით ხელოვნების საგანში დაწყებითი და საბაზო საფეხურიზე შეიქმნას: განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კურიკულუმში გაწერილი თემების ფარგლებში- სამიზნე ცნების, შედეგების მიღწევის ინდიკატორებსა და მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით.

		ასევე უმჯობესია X-XI კლ. მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროექტული სწავლების ფასილიტაციის და აქტიური მონიტორინგის შედეგები კონკრეტულად აისახოს შეფასების რუბრიკებში. დაკონკრეტდეს შეფასების კომპონენტები - ჩანდეს სამიზნე ცნებები, საგნის სტანდარტის მისაღწევი შედეგები. **საინფორმაციო ტექნოლოგიები** სასურველია, სკოლამ მოახდინოს სოლოტაქსონომიით წარმოდგენილი შეფასების რუბრიკის კორექტირება, გაიწეროს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებები. ასევე შეფასების რუბრიკები შემუშავებული იყოს ყოველი კონკრეტული თემისთვის და ყველა ინდიკატორისთვის განისაზღვროს მოსწავლეთა ყველა დონის შეფასება.
ინდიკატორი N 2.2.2.1.	ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	<u>**სახელმწიფო ენა**</u> **სამივე საფეხურზე** კურიკულუმის შექმნისას რესურსების გრაფაში ასახონ როგორც ძირითადი , ასევე დამხმარე რესურსები. სასურველია (განსაკუთრებით V-XI კლასების)კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხის შესაბამისად, უზრუნველყოთ ელექტრონული თუ მატერიალური რესურსების მრავალფეროვნება.
ინდიკატორი N2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	<u>**უცხოური ენები**</u> სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს რესურსების შერჩევის ფორმა, რომელშიც დასაბუთებული იქნება კონკრეტული დამატებითი რესურსის ღირებულება და სარგებლიანობა, ასევე სკოლამ უნდა აღწეროს თუ რამდენად უწყობს ხელს დამატებითი რესურსები უცხო ენის სტანდატის გრძელვადიანი მიზნები მიღწევას; <u>**საინფორმაციო ტექნოლოგიები**</u> სასურველია, კათედრის სხდომის ოქმით რესურსების დანართით გათვალისწინებული იყოს როგორც საგნობრივი კურიკულუმით გათვალისწინებული ელექტრონული და ბეჭდური რესურსები, ისე სსსმ მოსწავლისათვის გათვალისწინებული ის რესურსები, რომელიც წარმოდგენილია სსსმ მოსწავლის ინდუალურ სასწავლო გეგმაში (საგანი - კომპიუტერული

		საინფორმაციო ტექნოლოგიები); სასურველია, რესურსების შერჩევისას მასწავლებელმა გაითვალისწინოს რესურსების შერჩევის ვალიდაციის წესი.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**რჩევა**
ინდიკატორი **N 2.1.2.1**	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**<u>ესთეტიკური აღზრდა</u>** სასურველია კათედრამ გააქტიუროს თანამშრომლობითი კულტურა. მიმართოს გამოცდილების გაზიარების პრაქტიკას, დააზუსტოს საჭიროებები და შესაბამისად ასახოს ცვლილებები კურიკულუმში. სააბაზო საფეხურზე, მე-8 და მე-9 კლ მუსიკის კურიკულმში გათვალისწინებულ იქნას დროში მოსწრებადი, განხორციელებადი შემოქმედებითი დავალების რაოდენობა(თემაში ერთი), საათობრივი ბადით განსაზღვრულ საათების რაოდენობასთან მიმართებით. საბაზო საფეხურზე მე-8 და მე-9 კლ მუსიკის საგნის კურიკულუმში, გაიწეროს პირველი ცნება - „ბგერა'' სასურველია გაითვალისწინოთ, რომ კურიკულუმში მნიშვნელოვანი ელემენტია საკითხის განსაზღვრა, რომლის შესწავლასაც უნდა ემსახურებოდეს კონკრეტული დავალება. შერჩეული საკითხი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმს: I-თემასთან კავშირი, II-იყოს კონკრეტული და არა ზოგადი.
ინდიკატორი **N 2.1.2.2**	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**<u>უცხოური ენები</u>** საბაზო საფეხურზე (მე-, მე-7, მე-10 კლასები), ინგლისური ენის კურიკულუმში, სკოლამ, საშუალოს საფეხურის ნაცვლად, უნდა მიუთითოს საბაზო საფეხურის სტანდარტის გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და შედეგები). შემოქმედებითი დავალების პირობები, როგორც შუალედური მიზნები, უფრო ვრცლად უნდა იყოს გაწერილი (ინგლისური ენის კურიკულუმში), რათა მკაფიო წარმოდგენას იძლეოდეს თუ რა მიზნის მიღწევაზეა ორიენტირებული ესა თუ ის დავალება. სკოლას საკმაოდ ბევრი

		შემოქმედებითი აქტივობა (შუალედური მიზანი) აქვს გათვალისწინებული კურიკულმში. როგორ ვიზიტის დროს აღინიშნა, ყველა მათგანის განხორციელებას ვერ ახერხებენ. შესაბამისად, სასურველია სკოლამ მხოლოდ იმ რაოდენების შემოქმედებითი დავალებები (შუალედური მიზნები) დაგეგმოს, რომლებსაც რეალურად განახორციელებს.
ინდიკატორი **N 2.1.2.3**	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	<u>**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**</u> სასურველია, კურიკულუმებში ყველა ძირითად საკითხთან მიმართებით იყოს სრულად შევსებული რესურსების გრაფა. <u>**ესთეტიკური აღზრდა**</u> სასურველია მასწავლებლებმა სამივე საფეხურის კურიკულუმების შესაბამის ველში სრულად შეიტანონ ის ელექტრონული ბმულები თუ მატერიალური რესურსები, რომლებსაც იყენებებენ გაკვეთილებზე. <u>**სახელმწიფო ენა**</u> მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, **განსაკუთერებით საბაზო და საშუალო საფეხურზე** სასურველია რესურსების გამრავალფეროვნება. რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, მიუთითეთ აუდიო-ვიდეო მასალა, რესურსები შესაბამისი ბმულებით,რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.
ინდიკატორი №2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	<u>**უცხოური ენები**</u> აუცილებელია, კრიტერიუმებად სკოლამ იხელმძღვანელოს კონკრეტული საფეხურის შეაბამისი სტანდარტის გრძლევადიანი მიზნებით, რათა თავიდან იქნას აცილებული სამიზნე ცნებებისა და შედეგების აღრევა. მაგალითად, ინგლისურ ენაში ნიმუშად წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის შეფასების რუბრიკებში, კრიტერიუმებად მითითებულია საბაზო საფეხურის სტანდარტის სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საფეხურის შედგები. ასევე, საშუალო საფეხურის

		შეფასების რუბრიკებში მითითებულია საბაზო საფეხურის სტანდარტის სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საფეხურის შედგები. **ესთეტიკური აღზრდა** სახვით და გამოყენებით ხელოვნების საგანში დაწყებითი და საბაზო საფეხურიზე შეიქმნას: განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კურიკულუმში გაწერილი თემების ფარგლებში სამიზნე ცნების, მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით, შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით.უმჯობესია X-XI კლ. მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროექტული სწავლების ფასილიტაციის და აქტიური მონიტორინგის შედეგები კონკრეტულად აისახოს შეფასების რუბრიკებში. **სახელმწიფო ენა** **საბაზო და საშუალო საფეხურზე** შეფასების რუბრიკები სასურველია მორგებული იყოს კონკრეტულ დავალებებზე, რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს რას აფასებთ, მოლოდინები მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბეთ სამიზნე ცნებასთან მიმართებით მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით. შემოქმედებითი ტიპის დავალება შეაფასეთ შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკით. შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს, საფეხურის შედეგებს.
ინდიკატორი №2.2.2.1.	ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**ესთეტიკური აღზრდა** კათედრამ სამუშაო პროცესის გაანალიზების და შედეგების შეჯამების შემდეგ, პროცესში წარმოშობილი წინააღმდეგობების შესაბამისად, მიგნებებისა და საჭიროებების მიხედვით ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში.
ინდიკატორი №2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**ესთეტიკური აღზრდა** სახვით და გამოყენებით ხელოვნების საგანში დაწყებითი და საბაზო საფეხურიზე შეიქმნას: განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კურიკულუმში გაწერილი თემების ფარგლებში- სამიზნე ცნების, შედეგების მიღწევის ინდიკატორებსა და მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით. ასევე

		უმჯობესია X-XI კლ. მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროექტული სწავლების ფასილიტაციის და აქტიური მონიტორინგის შედეგები კონკრეტულად აისახოს შეფასების რუბრიკებში. დაკონკრეტდეს შეფასების კომპონენტები - ჩანდეს სამიზნე ცნებები, საგნის სტანდარტის მისაღწევი შედეგები.
ინდიკატორი №2.2.2.1.	ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	<u>**სახელმწიფო ენა**</u> **სამივე საფეხურზე** კურიკულუმის შექმნისას რესურსების გრაფაში ასახონ როგორც ძირითადი , ასევე დამხმარე რესურსები. სასურველია (განსაკუთრებით V-XI კლასების)კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხის შესაბამისად, უზრუნველყოთ ელექტრონული თუ მატერიალური რესურსების მრავალფეროვნება.
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	<u>**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**</u> სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურზე კეთებით სწავლების სტრატეგიის გამოყენების ხელშესაწყობად და სიღრმისეული სწავლებისთვის რეაქტივების მარაგის შევსება და განახლება, გამწოვი სისტემის დროული დამონტაჟება, საპრეპარატორო ოთახი განცალკევებულია და უმეტესწილად მიუწვდომელია მოსწავლეთათვის, თუმცა უსაფრთხოების სრული უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია, გამოყენების შემდგომ ადვილად მსხვრევადი ყველა მინის ჭურჭელი, ქიმიური პრეპარატების მსგავსად, აუცილებლად ინახებოდეს კარადაში, დაკეტილ მდგომარეობაში.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი საშუალო განათლების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**რჩევა**
ინდიკატორი **N 2.1.2.3**	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის	<u>**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**</u> სასურველია, კურიკულუმებში ყველა ძირითად საკითხთან მიმართებით იყოს სრულად შევსებული რესურსების გრაფა.

	საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	<u>ესთეტიკური აღზრდა</u> სასურველია მასწავლებლებმა სამივე საფეხურის კურიკულუმების შესაბამის ველში სრულად შეიტანონ ის ელექტრონული ბმულები თუ მატერიალური რესურსები, რომლებსაც იყენებენ გაკვეთილებზე. <u>სახელმწიფო ენა</u> მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, **განსაკუთერებით საბაზო და საშუალო საფეხურზე** სასურველია რესურსების გამრავალფეროვნება. რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, მიუთითეთ აუდიო-ვიდეო მასალა, რესურსები შესაბამისი ბმულებით,რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	<u>უცხოური ენები</u> აუცილებელია, კრიტერიუმებად სკოლამ იხელმძღვანელოს კონკრეტული საფეხურის შეაბამისი სტანდარტის გრძლევადიანი მიზნებით, რათა თავიდან იქნას აცილებული სამიზნე ცნებებისა და შედეგების აღრევა. მაგალითად, ინგლისურ ენაში ნიმუშად წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის შეფასების რუბრიკებში, კრიტერიუმებად მითითებულია საბაზო საფეხურის სტანდარტის სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საფეხურის შედგები. ასევე, საშუალო საფეხურის შეფასების რუბრიკებში მითითებულია საბაზო საფეხურის სტანდარტის სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საფეხურის შედგები. <u>სახელმწიფო ენა</u> **საბაზო და საშუალო საფეხურზე** შეფასების რუბრიკები სასურველია მორგებული იყოს კონკრეტულ დავალებებზე, რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს რას აფასებთ, მოლოდინები მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბეთ სამიზნე ცნებასთან მიმართებით მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით. შემოქმედებითი ტიპის დავალება შეაფასეთ შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკით.

		შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს, საფეხურის შედეგებს.
ინდიკატორი N 2.2.2.1.	ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**სახელმწიფო ენა** **სამივე საფეხურზე** კურიკულუმის შექმნისას რესურსების გრაფაში ასახონ როგორც ძირითადი , ასევე დამხმარე რესურსები. სასურველია (განსაკუთრებით V-XI კლასების)კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხის შესაბამისად, უზრუნველყოთ ელექტრონული თუ მატერიალური რესურსების მრავალფეროვნება.
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	<u>**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**</u> სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურზე კეთებით სწავლების სტრატეგიის გამოყენების ხელშესაწყობად და სიღრმისეული სწავლებისთვის რეაქტივების მარაგის შევსება და განახლება, გამწოვი სისტემის დროული დამონტაჟება, საპრეპარატორო ოთახი განცალკევებულია და უმეტესწილად მიუწვდომელია მოსწავლეთათვის, თუმცა უსაფრთხოების სრული უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია, გამოყენების შემდგომ ადვილად მსხვრევადი ყველა მინის ჭურჭელი, ქიმიური პრეპარატების მსგავსად, აუცილებლად ინახებოდეს კარადაში, დაკეტილ მდგომარეობაში.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის №1 საჯარო სკოლამ გაიზიარა და გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში გამოთქმული შენიშვნა და რჩევები.

1. ვიზიტის დროს სკოლას ჰქონდა ხარვეზი, კერძოდ, სკოლის 2 მასწავლებელი: ფიზიკისა და ფიზიკური აღზრდის/სპორტის ვერ აკმაყოფილებდნენ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ვიზიტის პერიოდშივე სკოლას ფიზიკის მასწავლებლის პოზიციაზე გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი, ხოლო რაც შეეხება ფიზიკური აღზრდის

მასწავლებელს, სკოლას ჰყავს 3 მასწავლებელი, რომელთაგანაც 2 სტატუსის მქონეა, ხოლო 1 მოწვეული მასწავლებელია 10 საათით. სკოლის დირექციის განმარტებით, მომავალი სასწავლო წლიდან მოწვეული მასწავლებლის დატვირთვა იქნება 9 საათი, ხოლო მეთერთმეტე კლასის 1 საათი დაემატება სტატუსის მქონე ერთ-ერთ მასწავლებელს. არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული პროცესი დაასრულდება 2026 წლის სექტემბრამდე და სკოლას ეყოლება ფიზიკასა და სპორტში სტატუსის მქონე მასწავლებლები. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადაში, 2026 წლის სექტემბრამდე, ფიზიკასა და ფიზიკური აღზრდაში/სპორტში აიყვანოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კადრი-სტატუსები მქონე მასწავლებლები. ამდენად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ **ინდიკატორები №3.1.2.4 და №2.2.2.4 მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, სკოლის შენობა-ნაგებობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა (მდგრადობა) დამაკმაყოფილებელია და უსაფრთხოა ექსპლუატაციისათვის. სკოლამ ვიზიტამდეც არგუმენტირებულ პოზიციაშიც წარმოდგინდა შესაბამისობის გეგმა, რომლიც მიხედვითაც ის გეგმავს, რომ 2026 წლის 8 ნოემბრამდე საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

ხოლო 2026 წლის 25 ოქტომბრამდე მოიპოვოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, სკოლის შენობა-ნაგებობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა (მდგრადობა) დამაკმაყოფილებელია და უსაფრთხოა ექსპლუატაციისათვის.

ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ **ინდიკატორი №3.4.1.1 მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

3. ვიზიტის დროს სკოლას ჰქონდა ხარვეზი, კერძოდ, დაწყებითი და საბაზო საფეხურების ესთეტიკური აღზრდის კურიკულებში ფიქსირდებოდა გარკვეული შეუსაბამობები №2.1.და №2.2 კომპონენტებთან მიმართებით. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ გამოაგზავნა განახლებული კურიკულემები, რომლებშიც აღნიშნული შეუსაბამობები აღმოფხვრილია. ამდენად, ექსპერტმა ჩათვალა, რომ დაწყებითი და საბაზო საფეხურების ესთეტიკური აღზრდის კურიკულუმების №2.1.და №2.2 კომპონენტების ინდიკატორები დაკმაყოფილებულია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სკოლის მისია:

მოსწავლეებისათვის უსაფრთხო, ინკლუზიურ, ხარისხიან განათლებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ფორმირება, რათა თითოეულმა მოსწავლემ სკოლაში მიღებული ცოდნითა და უნარებით შეძლოს რეალურ ცხოვრებაში არსებულ გამოწვევებთან გამკლავება.

სკოლის ხედვა:

იყოს ინოვაციური და ინკლუზიური საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის ინტელექტუალურ, ემოციურ, სოციალურ და მოქალაქეობრივ განვითარებას; აძლიერებს ეროვნულ თვითშეგნებას, აყალიბებს თანამედროვე, პასუხისმგებლიან და ღირსეულ მოქალაქეებს, რომლებიც მზად არიან ქვეყნის წინსვლაში აქტიური მონაწილეობისათვის

სკოლის ღირებულებები:

გამჭვირვალობა; მიუკერძოებლობა; თანამშრომლობა, ობიექტურობა; განვითარება და ინოვაციურობა; პატრიოტიზმი და ეროვნული თვითშეგნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სკოლის მისიასა და ხედვაში კარგად ჩანს, რომ სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი როლი როგორც მოსწავლეებისათვის უსაფრთხო, ინკლუზიურ, ინოვაციურ საგანმანათლებლო გარემოს შექმნისთვის, სადაც მოსწავლეს საშუალება ექნება ჩამოყალიბდეს თანამედროვე, ინტელექტუალურ,მოქალაქეობრივი პასუხისმგენლობის მქონე პიროვნებად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, კერძოდ, დირექტორის ბრძანებით შექმნილია სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომელშიც შედიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები:

დირექტორის მოადგილე, ერთ-ერთი კათედრის ხელმძღვანელი, მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე. ამასთან, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვა იწყება მისიის გადახედვითა და მისი ფორმულირებით. სკოლამ წინასწარ შემუშავებული კითხვარების მიხედვით გამოკითხნენ მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და გამოკითხვის შედეგები ასახა მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტში, რომელიც განიხილეს სკოლის პედაგოგიურ კრებაზე, შემდგომ კი პედსაბჭომ დაამტკიცა მისია, ხედვა და ღირებულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები დამტკიცებული აქვს სკოლის პედსაბჭოს, როგორც ეს მეთოდოლოგიითაა გაწერილი. ამასთან, სტრატეგიული გეგმის ნაწილიცაა, რომელიც დაამტკიცა სამეურველო საბჭომ. სასურველია, მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან ამოღებულ იქნეს ჩანაწერი, რომ სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო და ჩაიწეროს, რომ იგი, როგორც სტრატეგიული გეგმის ნაწილი, მტკიცდება კოლეგიალური ორგანოს-სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ.

4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლამ მიღებული მისია, ხედვა და ღირებულებები გააცნო სკოლის მასწავლებლებს პედაგოგიურ საბჭოზე, დამრიგებლებმა - საკუთარი კლასების მოსწავლეებსა და მათ მშობლებს მშობელთა კრებებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია და ხედვა ყველასათვის საჯაროა და ხელმისაწვდომი. სკოლის მისია განთავსებულია პლაკატის სახით ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებში: სკოლის ფოიეში, სამასწავლებლოში. სკოლის მისია და ხედვა ატვირთულია ასევე სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება: სსიპ-ყვარლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლა-შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ

დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნის შესახებ

თანამშრომელთა საერთო კრების ოქმი

საკლასო კრებების ოქმები

მშობელთა კრებების ოქმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლაში შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. დოკუმენტში განსაზღვრულია დაგეგვასთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები, დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები, დაგეგმვის პროცესის ფაზები, მონიორინგისა და შეფასების პროცესი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვა უნდა ეფუძნებოდეს სკოლის ორგანიზაციული შესაძლებლობების, გამოწვევებისა და გარემოს ანალიზს, ასევე შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს, საერთაშორისო სტანდარტებს, საქართველოს საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლაში შემუშავებულია და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია სსიპ-ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის №1 საჯარო სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა (2023-2030 წლები), რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას.

გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და წლების მიხედვით გაწერილ მიზნების შესაბამის ამოცანებს, შესრულების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ პირებს.

სტრატეგიული გეგმა მოიცავს 7 სტრატეგიულ მიმართულებას:

ა) სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;

ბ) ადამიანური რესურსის განვითარება;

გ) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

დ) უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;

ე) სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;

ვ) მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;

ზ) ორგანიზაციული განვითარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

   სკოლაში შემუშავებულია და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია ერთწლიანი 2025-2026 სამოქმედო გეგმა, რომელიც შედგენილია სტრატეგიული გეგმის შესაბამისად.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

   2025-2026 წლის სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები, ამ ამოცანების შესაბამისად განსახორციელებელი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები და ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამეურვე საბჭოს ოქმები სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცებაზე

ერთწლიანი გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

   სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო იწფორმაციის მოპოვებას სკოლის საქმიანობის შესახებ და ზრდის საზოგადოების წდობას. ასევე, ხელს უწყობს პასუხისმგებელი პირებისა და საზოგადოების დასახული მიზნების განხორციელებაზე ორიენტირებულობას. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორიგსა და შეფასებას ახორციელებს სამეურვეო საბჭო. მონიტორინგისთვის სკოლაში გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ყოველი 2 წლის ბოლოს და 7 წლის შესრულებისთანავე სამეურვეო საბჭოს მიერ განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

   არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

   არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

   არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

   დასტურდება (მტკიცებულებები):

   კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

   დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ

შეფასება:

- ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**
   სკოლა ხელმძღვანელობს საჯარო სკოლის წესდებით. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტი. საშტატო განრიგის მიხედვით, სკოლას ჰყავს დირექტორი, 1 მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ- ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, ექიმი, 2 დარაჯი, 4 დამლაგებელი, ცეცხლფარეში, 3 სპეცმასწავლებელი, 3 ასისტენტი და 38 საგნის მასწავლებელი. მათი ფუნქციები გაწერილია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**
   სკოლის სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, პედსაბჭო, სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები და სხვა სტრუქტურული პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტიდან ჩანს, რომ ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო

საქმიანობის განხორციელებას. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა თითოეული სტრუქტურული ერთეულის მუშაობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დირექტორის ბრძანება თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ
სკოლის საშტატო განრიგი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის პროცედურა, რომელიც მოიცავს ადამიანური რესურსის შერჩევა-დასაქმებისა და გათავისუფლების საკითხებს, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, თანამშრომლის შეფასება.

დოკუმენტში გათვალისწინებულია მინისტრის 2015 წლის 20 თებერვლის №68 ბრძანება ,,მასწავლებელის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესახებ“.

რჩევა:

ა) სასურველია განახლდეს სკოლის შინაგანაწესი და მასში გათვალისწინებული იყოს საქართველოს განათლების, ამეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივნისის №108/ნ ბრძანება „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლაში შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და სკოლის შინაგანაწესი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში აღნიშნულია, თუ როგორ მოქმედებს სკოლა ვაკანსიის შემთხვევაში, ხოლო შინაგანაწესში აღნიშნულია, რომ წინასწარ ცნობილი მიზეზით,

სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია წინასწარ (წინა დღეს, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი სამუშაოს დაწყებამდე მინიმუმ 1 (ერთი) საათით ადრე), გააფრთხილოს სკოლის დირექტორი/დირექტორის მოადგილე გამოუცხადებლობის შესახებ, სამუშაო ადგილზე არყოფნის სავარაუდო პერიოდის თაობაზე, შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით. ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის (სამედიცინო ან ოჯახური პირობები) გამო სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობა ან სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვების შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია გონივრულ ვადაში, შესაძლებლობისთანავე აცნობოს სკოლის დირექტორს/დირექტორის მოადგილეს გამოუცხადებლობის/სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვების შესახებ, შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით.

რაც შეეხება ინტერვენციულ პოლიტიკას, ამის შესახებ სკოლამ წარმოადგინა აღწერილობა, თუ როგორ ხდება მასწავლებლის მიერ გაკვეთილის გაცდების შემთხვევაში, მისი ჩანაცვლება, რათა არ დაირღვეს სასწავლო პროცესის უწყვეტობა

რჩევა: ინტერვენციული პოლიტიკის მექანიზმი სკოლამ გაითვალისწინოს ან სასკოლო სასწავლო გეგმაში, ან შინაგანაწესში ან ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლაში პერსონალის მოზიდვა ხორციელდება ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ შესაბამისად. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა რეგულაციის შესაბამისად წარმოებული პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია, კონკურსის ბრძანებები, ოქმები. პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის ყველა პერსონალს ჰქონდა წარმოდგენილი საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 33[1]-ით პერსონალისათვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“, ასევე ცნობა ნასამართლობის შესახებ მასწავლებლების შემთხვევაში (საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 21). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლა მასწავლებელთა შერჩევისას ხელმძღვანელობს 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' შესაბამისად, ხოლო სხვა თანამშრომელთა შერჩევისას მის მიერ

დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის შესაბამისად, რომელიც სკოლას გაწერილი აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტში,

სკოლას ჰყავს 38 საგნის მასწავლებელი, 3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის მასწავლებელი და 3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სკოლას ჰყავს ექიმი. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სკოლას დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ:სკოლის 2 მასწავლებელი: ფიზიკისა და ფიზიკური აღზრდის/სპორტის ვერ აკმაყოფილებდნენ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ვიზიტის პერიოდშივე სკოლას ფიზიკის მასწავლებლის პოზიციაზე გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი, ხოლო რაც შეეხება ფიზიკური აღზრდის მასწავლებელს, სკოლას ჰყავს 3 მასწავლებელი, რომელთაგანაც 2 სტატუსის მქონეა, ხოლო 1 მოწვეული მასწავლებელია 10 საათით. სკოლის დირექციის განმარტებით, მომავალი სასწავლო წლიდან მოწვეული მასწავლებლის დატვირთვა იქნება 9 საათი, ხოლო მეთერთმეტე კლასის 1 საათი დაემატება სტატუსის მქონე ერთ-ერთ მასწავლებელს. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც იგი გეგმავს, რომ აღნიშნული პროცესი დასრულდება 2026 წლის სექტემბრამდე და სკოლას ეყოლება ფიზიკასა და სპორტში სტატუსის მქონე მასწავლებლები. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადაში, 2026 წლის სექტემბრამდე, აიყვანოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოების და კათედრების ოქმები, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სტრატეგიული გეგმის შემუშავების რეგულაცია, ეს ყველაფერი ნათელი მაგალითია იმისა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები. სკოლაში არის გაზიარებული ლიდერობა და სკოლის მართვა ხორციელდება უფლებამოსილების დელეგირების და თანამონაწილეობითი მართვის პრინციპებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი, რომელიც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, მე-10 მუხლში აღნიშნულია, წახალისების ფორმების და წახალისების გამოყენების წესი, კერძოდ:

პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან

საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები; ა) მადლობის გამოცხადება; ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისთვის მადლობის გამოცხადების შესახებ ბრძანება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ
- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი სკოლის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ
- სკოლის დირექტორის ბრძანება თანამშრომლისთვის მადლობის გამოცხადების შესახებ

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმი**

სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, რაც გაწერილია სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. მასწავლებლის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელშიც შედიან სკოლის დირექტორი და ყველა კათედრის მასწავლებლები. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა ჯგუფის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.

სკოლა ხელს უწყოს პერსონალის კარიერულ ზრდას. წინა წლებში სკოლის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა პროფესიული განვითარების ტრენინგკურსებში. ამასთან, სკოლა ყოველწლიურად მონაწილეობას იღებს მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ მასწავლებელთა კონფერენციაში, მანამდე კი ატარებს შიდა კონფერენციას, რომლის მიზანია გამოცდილების გაზიარება, ურთიერთთანამშრომლობა, პროფესიული ზრდა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლაში შემუშავებულია ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღების, ადაპტაციისა და ინტეგრაციის წესი. დოკუმენტში გაწერილია თანამშრომლის მიღებისა და ადაპტაციის პროცესები დროითი მონაკვეთებისა და შესაბამის პერიოდში განსახორციელებელი აქტივობების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის შინაგანაწესის 22-ე და 23-ე მუხლების მიხედვით, თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების სხვადასხვა ფორმას. სკოლა ასევე ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს, რაც გამოჩნდა დირექტორის მოადგილის, საქმისმწარმოებლისა და ბიბლიოთეკარის მიერ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებში მონაწილეობით. მნიშვნელოვანია, რომ კათედრის დონეზე ხდება მასწავლებელთა ურთიერთმხარდაჭერა. მასწავლებლებს ასევე დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია სხვადასხვა ტრენინგებსა და ვებინარებზე შესახებ ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლაში ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღების, ადაპტაციისა და ინტეგრაციის წესის შესახებ

სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი სკოლის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

სკოლის დირექტორის ბრძანება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში შემუშავებულია ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია შემდეგ საკითხებზე: ა) შიდა და გარე შეფასება; ბ) საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი; გ) სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების დაგეგმვა; დ) ადამიანური რესურსის შეფასება და მისი გაუმჯობესება; ე) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმება და განვითარება.

სკოლაში დანერგილია შეფასების ორი შეფასება: 1. შიდა ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც ეფუძნება ციკლს დაგეგმე-განახორციელეშეამოწმე-განავითარე. P – D – C – A დაგეგმე - გულისხმობს სკოლის საქმიანობის რომელი ასპექტი რა

პერიოდულობით, რა თანმიმდევრობით და ვის მიერ უნდა განხორციელდეს. განახორციელე - გულისხმობს სკოლის საქმიანობის ხარისხის შეფასების განხორციელებას წინასწარ დაგეგმილი აქტივობებით. შეამოწმე - გულისხმობს განხორციელებული შემოწმების შედეგების ანალიზს. განავითარე -გულისხმობს სკოლის ადმინისტრაციის მიერ ნაკლოვანებების მიზეზების განსაზღვრას და მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას. სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტშია გაწერილი საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები: მმართველობითს მიეკუთვნება: სტრატეგიული დაგეგმა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა, ძირითადს: კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, ხოლო დამხმარე პროცესებია: განათლების მართვის საინფორმაცია სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება, კარიერული განვითარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლაში მოქმედებს საჩივრის განხილვის მექანიზმი-,,გასაჩივრების დეტალური პროცედურები.“დოკუმენტში გაწერილია საჩივრის განმხილველი ორგანო, საჩივრის სუბიექტი, წარმომადგენლობის უფლება, განხილვის ვადები, საჩივრის ტიპები და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის პერსონალის, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, ,,გასაჩივრების დეტალური პროცედურა“, თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დამტკიცების შესახებ

- სკოლის დირექტორის ბრძანება ,,საჩივრის დეტალური პროცედურების“ შესახებ
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუთი და მასალებით დადგინდა, სკოლა გარე კომუნიკაციისთვის იყენებს სკოლის ელექტრონულ ფოსტასა და სოციალურ ქსელს. აღნიშნული საშუალებები უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ გავრცელებასა და უკუკავშირის პროცესების სისწრაფეს. სკოლის ელფოსტითა და ფეისბუქზე სოციალური დახურული ჯგუფებით მასწავლებლები, დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას საზოგადოებას, მშობლებს, მასწავლებლებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით. შემოსული შეკითხვებს, ინიციატივებსა და შენიშვნებს სკოლა იყენებს შემდგომი განვითარებისთვის. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი-სკოლის საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო. ყველა ორგანო და რგოლი მისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციის ფარგლებში საქმიანობს, ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, იღებს გადაწყვეტილებებს. ამდენად, უზრუნველყოფილია მათი სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის დირექტორის ბრძანება საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახე
საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სსიპ-ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის №1 საჯარო სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, რისთვისაც სკოლის ტერიტორია შემოსაზღვრულია რკინის ღობით, ფიზიკური უსაფრთხოებისათვის სკოლაში მანდატურის სამსახურიდან გამოყოფილია 2 მანდატური, რომლებიც უზრუნველყოფენ ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით, კონტროლდება დერეფნები, სკოლის შემოსასვლელები და გასასვლელები 86 შიდა და გარე კამერის (ვიდეოთვალის) საშუალებით.

ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნა, რომ 2026 წლის 8 ნოემბრამდე საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეათანხმებს აგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას.

ვიზიტის დროს სკოლამ ასევე ვერ წარმოადგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, სსიპ-ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის №1 საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა (მდგრადობა) დამაკმაყოფილებელია და უსაფრთხოა ექსპლოატაციისათვის. აღსანიშნავია, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმაში აღნიშნა, რომ 2026 წლის 25 ოქტომბრამდე, მოიპოვებს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსგან ექსპერტიზის დასკვნას.

რაც შეეხება **სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობის შესაბამისობის შესახებ,** სკოლის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, კვამლსაწინააღმდეგო დეტექტორები, ევაკუაციის გეგმა გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე ყველა სართულზე. ამასთან, სკოლას 2026 წლის 17 მარტს გაგზავნილი აქვს წერილი სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსთან სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შენობა-ნაგებობის შესაბამისობის დადგენასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი მეტწილადა დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სკოლამ უნდა აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.

სკოლაში არის სამედიცინო კაბინეტი, რომელიც სრულად აღჭურვილია ყველა იმ ინვენტარით, რომლებიც გათვალისწინებულია მინისტრების ბრძანებით, კერძოდ, კაბინეტში არის კომპიუტერი, ხელსაბანი, საზომი, საკეტიანი კარადა წამლებისათვის, კომპიუტერი, სამედიცინო ტახტი, რომელიც ფარდით იზოლირებულია დანარჩენი სივრცისგან, მაცივარი, საკაცე და სხვა. ექიმი აწარმოებს მინისტრების ბრძანების შესაბამისად ჟურნალებს. მას აქვს პედიატრის სახელმწიფო სერტიფიკატი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ მანდატურები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში მოსწავლეების სწორი ქცევითი ჩვევების განვითარებაზე, ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ჩამოყალიბებაზე მუშაობს მთელი სკოლა: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სპეცმასწავლებლები და მათი ასისტენტები, საგნის მასწავლებლები, ძირითადად კი- დამრიგებლები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლას ემსახურება 2 დამლაგებელი, რომლებიც ასუფთავებენ სკოლის შიდა პერიმეტრს, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის შესაბამისად. სკოლაში არსებობს ცალ-ცალკე სანიტარული

კვანძები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის. სამივე სართულზე არის 2-2 სველი წერტილი გოგონებისა და ბიჭებისათვის და 2-2 სპეცმოსწავლისათთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით, კონკრეტულად: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი (უკონტაქტო). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლაში შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ დოკუმენტი. გარდა ამისა, დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხიმგებელი პირი-ყვარლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელი

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლაში ინფორმაცია დაცულია ელექტრონულ ჟურნალში, რომლის წარმოებზე პასუხისმგებელია თითოეული საგნის მასწავლებელი. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მონაცემები, ინფორმაცია მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ, მოსწავლის სპეციალური საჭიროების შესახებ სრულად არის დაცული. ასევე მნიშვნელოვანი მასალები ინახება საქმისმწარმოებელთან კარადებში, რომელიც იკეტება. წინა წლის მატერიალური მასალები ინახება არქივში და მათთან წვდომა აქვს მხოლოდ საქმისმწარმოებელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)** არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის წერილი სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსთან შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენასთან დაკავშირებით.
- სკოლის დირექტორის ბრძანება ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ შესახებ
- სკოლის დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**
ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. სკოლის შენობა მდებარეობს მდებარეობს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში, მიწის ფართობია 22962,00 კვ.მ., ხოლო შენობა-ნაგებობის - 5969,7კვ.მ..მიწისა და შენობების მესაკუთრეა სახელმწიფო, ხოლო მოსარგებლე - სსიპ-ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის №1 საჯარო სკოლა (241572589) არსებობის ვადით. სკოლის შენობა 2025 წელს ჩაბარდა სკოლას. შენობა 3-სართულიანია, სადაც განთავსებულია საკლასო ოთახები, კომპიუტერული ლაბორატორია, ფიზიკის, ბიოლოგიის, ქიმიის ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, დირექციისა და ადმინისტრაციის ოთახები, რესურსოთახი, სააქტო დარბაზი სცენით, თვითმმართველობის ოთახი, სხვადასხვა სასწავლო თუ ტექნიკური რესურსის შესანახი ოთახი, სივრცე მოსწავლეთა კვებისათვის, სამასწავლებლო, ოთახები არქივისთვის, დარაჯისთვის, სკოლას შეძენილი აქვს -ინდივიდუალური მერხი და სკამი. სკოლის შენობაში არის დიდი სპორტული დარბაზი გასახდელებითა და საშხაპეებით შესაბამისი სპორტული ინვენტარით: შვედური კედელი, მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

მოსწავლეებისთვის სკოლის შენობაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დიდი და ფართე დერეფნები, ეზო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, სპორტული დარბაზი, საკონფერენციო დარბაზ) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. სკოლის ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორებით, და დერეფნებში არსებული მაგიდის ჩოგბურთის მაგიდით სარგებლობის საშუალება აქვს სასკოლო საზოგადოების წევრებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლას აქვს დიდი ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია თაროები წიგნებით, მაგიდები. სკამები. არსებობს საინვენტარო წიგნი და მისი შესაბამისი EXCEL-ში დამუშავებული წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა მოსწავლეთა ფორმულარები, სახელმძღვანელოების მიღება-ჩაბარების აქტები მშობელსა და დირექტორს შორის. ბიბლიოთეკაში წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო პრინციპით. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, რომლის თანახმად, ბიბლიოთეკა მუშაობს 9 საათიდან 5 საათამდე. ბიბლიოთეკაში არის 14059 წიგნი, მათ შორის 5100 სახელმძღვანელო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სასურველია სკოლის ბიბლითეკარმა გაიაროს ტრენინგი საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდების თაობაზე

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის ინკლუზიურ გარემოს. 3-სართულიან შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი, პირველიდან მეორე-მესამე სართულებზე ასასვლელად. ლიფტში შესვლა შესაძლებელია უკანა ეზოდან. სკოლის შენობაში ადაპტირებული სველი წერტილებია როგორც გოგოებისთვის, ასევე ბიჭებისათვის, თითოეულ სართულზე 2-2. სკოლის შენობაში რესურსოთახია, სადაც მოსწავლეებს ემსახურება 3 სპეცმასწავლებელი და 3 ასისტენტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა: სკოლის ეზო, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი, დიდი და ფართე დერეფნები ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები, საინტერესო პროექტები, მოაწყონ შეხვედრები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან, მათთვის საინტერესო ადამიანებთან. შენობაც იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სხვადასხვა აქტივობის ჩატარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სკოლის ფინანსური დოკუმენტაცია
- სკოლის დირექტორის ბრძანება ბიბლიოთეკის დებულების შესახებ

- ხელშეკრულებები მშობლებთან
- ხელშეკრულებები დამრიგებლებთან
- საინვენტარი წიგნი

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

სკოლას აქვს გამართული ინფორმაციული საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა-კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებული იყო 30 კომპიუტერი. სკოლას აქვს 50 ლეპტოპი, 5 პრინტერი, 8 პროექტორი, 5 მონიტორი. გარდა კომპიუტერული ოთახისა, კომპიუტერები აქვთ დირექტორს, საქმისმწარმოებელა, ბუღალტერს, მასწავლებლებს. სულ სკოლას აქვს 56 პერსონალური კომპიუტერი და 43 ლეპტოპი, 21 პროექტორი, 15 პრინტერი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ინფორმაციული საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობა მოსწავლეებს შეუძლიათ, სკოლაში შემუშავებულია ციფრული განვითარების გეგმა, რომელშიც გაწერილია საზიარო სივრცეები სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. არსებული რესურსების და მათი განვითარებისთვის ღონისძიებები, კიბერუსაფრთხოების საკითხები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ-ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის №1 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ციფრული განვითარების გეგმის შესახებ

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი
სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების დებულება, რომლის მიხედვით საქმისწარმოება მიმდინარეობს შემდეგი სახის დოკუმენტაციაზე: შემოსული დოკუმენტაციის (წერილი, მოთხოვნა–დასტური, მიმართვა) აღრიცხვა; გასული დოკუმენტაციის (წერილი, ცნობა, მოთხოვნა–დასტური, მიმართვა) აღრიცხვა; შიდა დოკუმენტაციის (სამსახურეობრივი ბარათი, ახსნა–განმარტება, ბრძანება, ბრძანების ამონაწერი, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, ხელშეკრულებები, მემორანდუმები) აღრიცხვა; მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეების წარმოება. დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები დანომრილია, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძულია, მათი სანდოობა და მთლიანობა არის უზრუნველყოფილი. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა
სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (Eflow) სისტემით; ასევე სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ: eSchool.emis.ge, office 365; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია შემდეგი ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ-ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის №1 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება საქმისწარმოების შესახებ

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სკოლის ოფიციალური ვებგვერდის მისამართია: https://skolebi.emis.ge/schools/, ასევე სოციალურ ჯგუფში დახურული ჯგუფები როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის, მშობლებისათვის. სკოლის სხვა საკომუნიკაციო საშუალებებია: ელექტრონული ფოსტა და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლაში დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორამაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი-სკოლის საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს თავისი ვებგვერდი და ასევე, თავისი გვერდი პორტალზე https://skolebi.emis.ge, სადაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც განსაზღვრავს სტანდარტი, სკოლის ვებგვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
https://skolebi.emis.ge

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში ასახულია ფინანსები, რომლებიც საჭიროა გეგმით განსაზღვრული აქტივობების განსახორციელებლად. გეგმის სვეტში-არსებული რესურსი-იგულისხმება სკოლის ბიუჯეტის თანხა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

დირექციის წევრებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლის ბიუჯეტი დგება კათედრების ინიციატივებისა და წინადადებების საფუძველზე, სხვადასხვა სახის რესურსების მოთხოვნა წარედგინება დირექტორს. ასევე ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას შესყიდვის გეგმის საფუძვლზე. შემდგომ მიმდინარეობს ბაზრის კვლევა. დირექტორის მიერ შედგენილი ბიუჯეტი წარედგინება სამეურვეო საბჭოს, რომელიც ამტკიცებს მას. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მოხსენება ფინანსური ანგარიშის შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი სკოლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

სამეურვეო საბჭოს ოქმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. ამ მიზნით სკოლას აქვს შინაგანაწესი. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო, სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, ორი მანდატური. თითოეულ კლასს ყავს დამრიგებელი. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. შინაგანაწესში განსაზღვრულია მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც რეგულირდება „ზოგადი განათლების შესახებ კანონით "

სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების, დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომლიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსწავლეთა უფლების დაცვის გარანტიას. სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის მიერ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში შესაბამის პირს ეკისრება

დისციპლინური სახდელი. სკოლას გააჩნია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი, სადაც მკაფიოდ არის მოცემული, რომ სკოლა ვალდებულია დაიცვას პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა და იმოქმედოს სუბიექტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და რომ დაუშვებელია მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება მშობლისგან ან მოსწავლისგან წინასწარ მოპოვებული თანხმობის გარეშე, რითიც მოსწავლის უფლებები დაცულია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის მიერ შემუშავებული დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს, აცნობს უფლებებს და მოვალეობების, სკოლის შინაგანაწესს, ქცევის წესებს, სკოლის შიდა რეგულაციებს. უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები ასევე ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე. მოსწავლეებთან გასაუბრებისას ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ მოსწავლეების სრულად არიან ინფორმირებული სასკოლო რეგულაციებზე, იციან მაგ: კონკრეტული იდეის ინიცირების გაზიარების/განხორციელების მიზნით ვის და როდის უნდა მიმართონ. ასევე იციან თავიანთი უფლება-მოვალეობები და სხვ. კლასის დამრიგებლების პორტფოლიოებში განთავსებულია სრული ინფორმაცია მოსწავლეთა სკოლისგარეშე აქტივობების შესახებ. ამ ინფორმაციას იყენებენ სასკოლო ღონიძიებების ჩასატარებლად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა მოსწავლეთა მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები, რომელიც შეესაბამება განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, ხელშეკრულების პირობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა შეთანხმებასაც ორივე მხარე ადასტურებს ხელმოწერით. ხელშეკრულებას თან ახლავს მშობლის თანხმობა მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- მოსწავლის ადაპტაციის წესი
- მონიტორიგნის ჯგუფის ოქმები;
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესი;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;
- განცხადებისა და საჩივირს განხილვის წესი;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: სკოლაში პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრა, რეგისტრაცია და მისი ეტაპები; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და ჩარიცხული მოსწავლეების შესახებ მონაცემების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა; მოსწავლის სტატუსის შეჩერება; მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა; მოსწავლეთა მობილობის წესი; მობილობისას განსახორციელებელი პროცედურები; მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა; შემოსული განცხადებები მოსწავლეთა მობილობაზე, ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აისახება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eFlow), ასევე eSchool საინფორმაციო სისტემაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

საასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის დამრიგებლები მშობლებს აცნობენ შინაგანაწესს, ასევე ყველა ყველა იმ წესს, რომელიც შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით არის განსაზღვრული. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით დასტურდება, რომ დირექტორის ბრძანების საფუძველზე ხორციელდება მოსწავლის ჩარიცხვა, კლასიდან კლასში გადაყვანა, საფეხურის დაძლევა. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, რომლებსაც საგნის წლიური ქულა გამოსდით „5"-ზე ნაკლები, ენიშნებათ საშემოდგომო გამოცდა. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის 70 გაცდენის გამო, ენიშნებათ მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია აღწერილია სკოლის შინაგანაწესში, რომელიც განთავსებულია სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე. მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, მასწავლებლის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი, დირექტორის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი/ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის პოლიტიკიდან გამომდინარე, ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება. სკოლის სურვილია რეგიონში მყოფ მოსწავლეებს შეეძლოთ მათთვის საინტერესო ყველანაირი მომსახურება მიიღონ ადგილზე. სკოლაში არაფორმალური განათლების მიმართულებით ფუნციონირებს უფასო წრეები. მეორე უცხოურ ენად მშობელთა კოლექტიური განცხადების საფუძველზე არჩეულია რუსული ენა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებში, პროექტებში, კონფერენციებში და სხვა აქტივობებში ნებისმიერ მოსწავლეს აქვს ჩართვის შესაძლებლობა, ისარგებლოს ნებისმიერი რესურსით, დისკრიმინაციის გარეშე. ინფორმაციის გასაჯაროებისათვის სკოლა ახდენს მშობელთა ინფორმირებულობას და მათგან იღებს თანხმობას, ამისათვის სკოლას შემუშავებული აქვს თანხმობის ფორმა, სადაც მშობლები საკუთარ თანხმობას ადასტურებენ ხელმოწერებით. აგრეთვე ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ ქვეყნდება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას, სასკოლო ფოიეში, ზიარდება სოციალურ გვერდზე. სკოლაში არსებულ

საგანმანათლებლო მომსახურეობაზე ხელი მიუწვდება ყველა მოსწავლეს. არაფორმალური განათლების აქტივობებისა და უფასო წრეების შესახებ სკოლაში ინფორმაცია საჯაროა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები
- სკოლის შინაგანაწესი
- ბრძანება მარეგულირებელ დოკუმენტებში ცვლილების შეტანის შესახებ
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება
- მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგიები);
- სკოლის ვებგვერდი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში; სკოლა ადგენს დეზადაპტაციის ნიშნებს და მიმართავს შესაბამის ზომებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ადაპტაციის გაადვილების მიზნით. დირექტორი დამრიგებელს აწვდის ინფორმაციას ახალი მოსწავლის შესახებ და წინა სკოლიდან მიღებულ პირად საქმეს; კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს; ახალი მოსწავლის დასწრების პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს კლასის ახალ მოსწავლეს და აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას, ზოგადად დამრიგებელი პირველივე სადამრიგებლო საათს იყენებს მოსწავლეთა გაცნობისა და დაახლოებისთვის. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს. სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პირველკლასელთა და სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, მაგალითად, როდესაც მოსწავლე სხვა სკოლიდან გადმოდის, კლასის დამრიგებლები მოსწავლეებს აცნობენ სკოლის გეოგრაფიას, სპეციფიკას, სოფლის ისტორიას და ტრადიციებს. სკოლის ინფრასტრუქტურა, კეთილგანწყობილი და უსაფრთხო გარემო უადვილებს მოსწავლეს სასკოლო საზოგადოების წევრობას პირველივე დღიდანვე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის ყველა მოსწავლეს შეუძლია კონსულტაცია მიიღოს საგნის მასწავლებისაგან აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. სემესტრის მანძილზე ხდება ჩატარებული შემაჯამებლების ანალიზი, გამოვლენილი შეცდომების განხილვა, ეფექტური უკუკავშირის, განმავითარებელი კომენტარებისა და რეკომენდაციების მიცემა. მასწავლებლები შემოქმედებითი, კომპლექსური ტიპის დავალებების დამუშავების ეტაპებზე იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, რათა განსხვავებული შესაძლებლებების მოსწავლეებმა თანაბრად შეძლონ სასწავლო პროცესში ჩართვა. ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაგეგმილია დია გნოსტიკური წერები დაწყებით საფეხურზე. დიაგნოსტიკური წერის მიზანია ცოდნის დონის დიაგნოსტირება, პრობლემის აღმოჩენა და გასაუმჯობესებელი გზების ძიება.

დიაგნოსტიკური წერის დასრულების შემდეგ თუ აღმოჩნდა, რომ მოსწავლეს ესაჭიროება დამატებითი მუშაობა, სკოლის ორგანიზებით, საჭიროების მიხედვით ჩაუტარდება დამატებითი მეცადინეობა. აქტივობების დაგეგმვისას იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, რათა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი მოსწავლეებს თვითრეალიზებაში, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში. სკოლას გამოყოფილი აქვს შერჩეული დღე მშობლებთან საკომუნიკაციოდ. მშობლებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ საკუთარი შვილების აკადემიური მოსწრებას, გაესაუბრონ დამრიგებელს და საგნის მასწავლებლებს. გარდა ამისა მშობლებთან კომუნიკაციის წესში გაწერილია, რომ მშობელს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია შვილის მიღწევების შესახებ ნებისმიერი წყაროდან იქნება ეს ელექტრონული ჟურნალი, ტელეფონი, პირადი შეტყობინება, თუ ჩანაწერიდან მოსწავლის რვეულში. დამრიგებელი ზრუნავს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე, თანამშრომლობს მშობლებთან და ერთობლივად ცდილობენ მოაგვარონ შექმნილი სირთულეები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე, კლასის კრებებზე, მშობლებსა და მოსწავლეებს აცნობენ უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია, რომ სკოლა იღებს ვალდებულებას მოსწავლეს მიაწოდოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი გაანათლება, რომელიც ეფუძნება ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპებს. მოსწავლეს უფლება აქვს დაცული იყოს ყოველგვარი ძალადობისგან. სკოლაში დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც ახდენს იდენტიფიცირებას. ასევე, მოსწავლეები და მათი მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები საჭიროების შემთხვევაში იღებენ ინფორმაციას მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის შესახებ. სასწალო პროცესში დაგეგმილია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, მოსწავლეზე ორიენტირებული და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე ეფექტიანი სწავლება და შეფასება. ყველა მოსწავლეს აქვს განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოსწავლემ ისარგებლოს შინ სწავლებით. სკოლას აქვს ადაპტირებული ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელმისაწვდომია სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობის დადგენილი წესით სათანადო კვალიფიკიციის მქონე კადრებით უზრუნველყოფს არაფორმალური აქტივობების მხარდაჭერას. დაგეგმილია აქტივობები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური და

შემოქმედებითი მიდრეკილებების გამოვლენას, ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სისტემური აზროვნების, სოციალური და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. ყველა სასკოლო აქტივობა მხარდაჭერილია დამრიგებლების მიერ. კლუბური მუშაობის გარდა, სკოლაში აქტიურია სადამრიგებლო მუშაობაც, რის ფარგლებშიც ხორციელდება ასევე საინტერესო აქტივობები. სკოლაში მიმდინარეობს სასკოლო პროექტები, შემოქმედებითი საღამოები, გარემოსდაცვითი აქტივობები, პრეზენტაციები და კონფერენციები. სკოლის ყოველწლიური ტრადიციის ნაწილია მასწავლებელთა კონფერენციები, რომლის ფარგლებშიც ბევრი საინტერესო, თემა და პრეზენტაცია მზადდება და წარედგინება სასკოლო საზოგადოებას. სკოლის ვიზუალური დათვალერებისას საკლასო ოთახებში წარმოდგენილი იყო მოსწავლეების მიერ განხორციელებული პროექტების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები და პროდუქტები. სკოლაში განხორციელებული არაფორმალური განათლების აქტოვობებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივების ამსახველი ღონისძიებები ასახულია სკოლის სოციალურ გვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება, უკუკავშირის გათვალისწინებით სკოლა განსაზღვრავს ინტერვენციებს. კმაყოფილების კითხვარის ნიმუშები აუმჯობესებენ სასწავლო პროცესს და მომსახურების ხარისხს. სასწავლო წლის ბოლოს სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენას სპეციალურად შედგენილი მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარების მეშვეობით, რომლის ანალიზის საფუძველზეც, შესაძლებლობის ფარგლებში დგება გასატარებელი ღონისძიებების ნუსხა მოსწავლეთა მოთხოვნებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
- სადამრიგებლო მუშაობის დოკუმენტაცია;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის (აკადემიური შედეგების გაუმჯობესების) ფორმა;
- სასკოლო კურიკულუმები
- სკოლის შინაგანაწესი;

- სკოლის დებულება
- სადამრიგებლო მუშაობის დებულება;
- მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის დებულება;
- მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის ოქმები და ანგარიში;
- სკოლის ვებგვერდი;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო პროგრამა. სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ახორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზაციის მიზნით. მოსწავლეები ეცნობიან ცალკეულ პროფესიებს და დასაქმების შესაძლებლობებს. დაგეგმილია აქტივობები სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე, სხვადასხვა საგნობრივ პროგრამებში, რაც ერთ-ერთი გამჭოლი პრიორიტეტია სასკოლო კურიკულუმებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის დირექციის, პედაგოგების განმარტებით სკოლის ორგანიზებით პერიოდულად ეწყობა შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან, მოსწავლეებს ურიგდებათ სხვადასხვა პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების მიერ მომზადებული გზამკვლევები. სკოლა ზრუნავს იმისთვის, რომ მოსწავლეები იყვნენ სათანადოდ ინფორმირებული ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლის ადმინისტაცია და კლასის დამრიგებელები გამოკითხვით მუდმივად იკვლევლევენ სკოლის კურსდამთავრებულთა მიღწევებს უმაღლეს სასწავლებლებში, ახდენენ შედარებას გასული სასწავლო წლის შედეგებთან და ანალიზის საფუძველზე გეგმავენ ღონისძიებებს სწავლა სწავლების პროცესების გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სადამრიგებლო პროგრამები;

- სამოქალაქო განათლების, მე და საზოგადოების საგნობრივი კურიკულუმები;
- კლუბების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები;
- სკოლის სოციალური გვერდი;
- მშობელთა კრებების ოქმი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმით. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი ასევე სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია.

საჯარო სკოლას მიმდინარე პერიოდში ერიცხება 23 სსსმ მოსწავლე. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდებოდა სკოლის მიდგომები ინკლუზიური განათლების მიმართულებით. სკოლამ წარმოადგინა ინდ. გეგმები საგნობრივი მიმართულებებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მიზნით შექმნილი იყო შესაბამისი ისგ ჯგუფი.

ინტერვიუს მეშვეობით ირკვევა, რომ ისგ ჯგუფი პერიოდულად იკრიბება და განიხილავს სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებულ სწავლების საკითხებს. აღნიშნული დასტურდება ისგ ჯგუფების ოქმებით. ასევე ადგილზე არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს - სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას, სამოქმედო გეგმის შედგენას, სწავლის სირთულეების იდენტიფიცირებას, სტატუსის მიღებისა და მოხსნის რეგულაციებს, სსსმ მოსწავლის კონფიდენციალობის უზრუნველყოფის რეგულაციებს. სკოლას ჰყავს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც წლის ბოლოს განხორციელებული აქვს შიდა მონიტორინგი და შედგენილია დასკვნა. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი რესურსოთახი. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის მიერ დგება ინტერვენციის გეგმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლის წინსვლასა და განვითარებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, გათვალისწინებულია თანამშრომლობითი აქტივობები და პროცედურები სკოლის დირექციის, მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობით.

სკოლის წარმომადგენლებთან, მასწავლებელებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების შესახებ. სსსმ მოსწავლისთვის შექმნილია ისგ ჯგუფი, რომელშიც შედის კლასის დამრიგებელი, მოსწავლის მშობელი, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი (სპეციალური მასწავლებელი) და საგნის მასწავლებლები. ისინი მუშაობენ თანამშრომლობის პრინციპით, მათ შორის მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან მჭიდრო თანამშრომლობით და კომუნიკაციით. სპეციალურ მასწავლებელს შედგენილი აქვთ სამოქმედო გეგმა და ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები.

სპეციალურ მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სსსმ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი საკლასო ღონისძიებებში, მასწავლებლები მუშაობენ შემოქმედებითი დავალებების ადაპტირებაზე. რესურსოთახში ვიზიტის დროს წარმოგვიდგინეს სსსმ მოსწავლეების ნამუშევრები, ასევე შედგენილი იყო მრავალმხრივი პორტფოლიო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია

- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა 2025-26 წელი
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება
- ისგ ფორმა;
- მონიტორინგის ჯგუფის ოქმები;
- მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;
- ინკლუზიური განათლების პროგრამა;
- სსსმ მოსწავლის ინდ.გეგმები;
- სპეციალური მასწავლებლის ანგარიში;
- სსსმ მოსწავლეთა პორთფოლიო
- სასკოლო ღონისძიებებში სსსმ მოსწავლეთა ჩართულობის ამსახველი ფოტომასალა;
- რესუროთახის დათვალიერება

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სასკოლო გეგმის მიხედვით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობებს სხვადასხვა წრეებისა თუ კლუბების სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითი პრინციპით. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან კლუბურ მუშაობას სხვადასხვა ასაკის გათვალისწინებით. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა და მშობლებმა ესპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, სასკოლო ცხოვრებაში დაწესებულება აქტიურად იყენებს კითხვარებს სხვადასხვა მიმართულებით და მათ შორის მოსწავლეთა ინტერესების გამოვლენისთვის, რის საფუძველზეც ხდება კლუბების შეთავაზება. სკოლა მშობლებთან შესაბამისი პირობის გაცნობის შედეგად აფორმებს ხელშეკრულებას. განხორციელებული აქტივობები თანხვედრაშია კანონმდებლობის შესაბამის ნორმებთან და მოთხოვნებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება მშობელთან და მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომელშიც გაწერილია სკოლის ვალდებულებები გააკონტროლოს და დაიცვას მოსწავლის უსაფრთხოება სასწავლო პროცესის განმავლობაში, ხოლო დასაქმებული უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოთი. შრომითი ხელშეკრულებით გაწერილია დასაქმებულის ვალდებულება, დაიცვას უსაფრთხოების წესები. დამატებით სერვისებთან მიმართებაში განხორციელებული მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, რასაც მოწმობს სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების და ბრძანებების სახით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- 2025-2026 სასწავლი წლის სასკოლო გეგმა;

- შინაგანაწესი;
- პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- კითხვარები;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სადაც წარმოდგენილია სავალდებულო თემატური ერთეულები, სამიზნე ცნებები, საკითხები და სასწავლო რესურსები. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა სკოლაში მაღალი თანამშრომლობითი კულტურის არსებობა, რაც განაპირობებს სასკოლო საზოგადოების შეთანხმებულ მუშაობას. მასწავლებლები ერთობლივად ქმნიან კურიკულუმს, გეგმავენ კომპლექსურ დავალებებს, მუშაობენ სასკოლო-სასწავლო გეგმაზე. მეთოდოლოგიის შესაბამისად კურიკულუმის დასანერგად მასწავლებლები გაკვეთილებს წარმართავენ საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

წარმოდგენილი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ თითოეული თემა და საკითხი შერჩეულია სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობითა და არსებული პრაქტიკის, განხორციელებული აქტივობების გათვალისწინებით. პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებების შერჩევის დროს მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, უნარებსა და შესაძლებლობებს, ასევე ასაკობრივ თავისებურებებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ცხადყოფს, რომ სკოლას აქვს ხედვა, განავითაროს კურიკულუმი სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინებითა და მაქსიმალური ჩართულობით. სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის მისია-ხედვა-ღირებულები, სადაც წარმოდგენილია მოსწავლეთა, მშობელთა, მასწავლებლების, სასკოლო თემის და დირექციის ინტერესები და პრიორიტეტები, რისი გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზნები ასევე მკაფიოდ

ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში. სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავება წარმოადგენს კოლაბორაციულ პროცესს, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი პასუხისმგებლობები. მასწავლებლები მონაწილეობენ სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და კურიკულუმის დიზაინის (მეთოდები, სტრატეგიები, რესურსები) შეთანხმებაში. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს კათედრის ყველა წევრი. კათედრაზე პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, დაკვირვების საფუძველზე გამოკვეთენ პრობლემას, შეიმუშავებენ მისი მოგვარების გზებს, რის საფუძველზეც იგეგემება მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული სასწავლო პროცესი. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით გეგმავენ სასკოლო პროექტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტისა და პედაგოგებთან ინტერვიურების საფუძველზე გაირკვა, რომ კათედრებმა შეიმუშავეს საგნობრივი კურიკულუმები. ვინაიდან კურიკულუმი არის სკოლის განვითარების გზის ამსახველი დოკუმენტი, გაცნობისა და გაზიარების მიზნით იგი ხელმისაწვდომი გახდება სასკოლო საზოგადოებისთვის.

ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ცდილობენ საკუთარი საქმიანობა დაუკავშირონ კურიკულუმს, რათა მეტად ეფექტურად და შედეგზე ორიენტირებულად ჩაერთონ ამ დოკუმენტის რეალიზებაში. კერძოდ, მათ მიეწოდებათ უკუკავშირი და იციან, რომ თითოეულის პასუხიმგებლობაზეა დაფუძნებული პროცესებში ჩართვა. ამასთან, სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯარო სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. სასწავლო პროცესი ემსახურება გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გაძლიერებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.
- სკოლის მისია-ხედვა-ღირებულებები

- კურიკულუმზე მომუშავე ჯგუფის შექმნის ბრძანება
- კურიკულუმებზე მომუშავე ჯგუფის ოქმი
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის რევიზია;
- პედსაბჭოს ოქმები;
- კათედრის დებულება;
- კათედრის ოქმები;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბუნებისმეტყველების სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ საკითხების შესასწავლად დაგეგმილია და შუალედურ მიზნებად განსაზღვრულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, ძირითადი საკითხები იმგვარადაა შერჩეული/დაჯგუფებული, რომ მათი დამუშავება მოითხოვს კომპლექსურ მიდგომებს, იძლევა დავალების ცალკეული კომპონენტების დიფერენცირების საშუალებას, დავალების კრიტერიუმები გათვლილია ცოდნის სამივე კატეგორიაზე, ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას და მიემართება ესგ-ს გძელვადიანი მიზნებისკენ. საკითხების დასამუშავებლად მოსწავლეებისათვის შეთავაზებულია ცხოვრებისეული/ნაცნობი კონტექსტები, ასევე, მიზნობრივი, ხელმისაწვდომი და მრავალფეროვანი რესურსები შემოქმედებით პროდუქტის შესაქმნელად. დავალების პირობა მოსწავლეებისთვის მკაფიოს ხდის-რა საკითხის შესწავლას ემსახურება დავალება, რა

	შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნან და რა ცოდნა უნდა წარმოაჩინონ საკითხთან მიმართებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგთა მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებში ჩანს სამიზნე ცნებებზე ორიენტირება, გარდა ამისა, გამოყენებულია მრავალფეროვანი რესურსები, წარმოდგენილია საინტერესო და მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებების იდეები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამა ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. თემები შერჩეულია უცხო ენების სტანდარტის საფუძველზე, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათავლისწინებით. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ჩანს იქიდანაც, რომ კურიკულუმში წარმოდგენილია მრალფეროვანი შემოქმდებითი აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეს უცხო ენაში მიღებული ცოდნა მოარგოს და გადმოიტანოს რეალური ცხოვრების სხვადასხვა სიტუაციაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის დაწყებითი და საბაზო საფეხურის მუსიკის საგანის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში წარმოდგენილი შინაარსი (დავალებები, შემოქმედებითი პროდუქტები, აქტივობები) ასახავს სწავლის პროცესს, რომელიც განიხილავს ცოდნის აქტიურ კონსტრუირებას, მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირებით. **რჩევა:** სასურველია კათედრამ გააქტიუროს თანამშრომლობითი კულტურა, მიმართოს გამოცდილების გაზიარების პრაქტიკას, დააზუსტოს საჭიროებები და შესაბამისად ასახოს ცვლილებები კურიკულუმში. **სააბაზო საფეხურზე,** მე-8 და მე-9 კლ მუსიკის კურიკულმში გათვალისწინებულ იქნას დროში მოსწრებადი, განხორციელებადი შემოქმედებითი დავალების რაოდენობა(თემაში ერთი), საათობრივი ბადით განსაზღვრულ საათების რაოდენობასთან მიმართებით. **საბაზო საფეხურზე** მე-8 და მე-9 კლ მუსიკის საგნის კურიკულუმში, გაიწეროს პირველი ცნება - „ბგერა''

	სასურველია გაითვალისწინოთ რომ კურიკულუმში მნიშვნელოვანი ელემენტია საკითხის განსაზღვრა, რომლის შესწავლასაც უნდა ემსახურებოდეს კონკრეტული დავალება. შერჩეული საკითხი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმს - 1. თემასთან კავშირი 2. იყოს კონკრეტული და არა ზოგადი. ვიზიტის დროს სკოლას დაწყებით და საბაზო საფეხურებზე ჰქონდა ხარვეზი, კერძოდ: სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კურიკულუმებში არ იყო მოცემული თემატური ბლოკი, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. შესაბამისად, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კურიკულუმში არ ჩანდა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი და საბაზო საფეხურების კურიკულუმები თემატური ბლოკებით, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. წარმოდგენილი დოკუმენტაციაში ჩანს, რომ კურიკულუმები შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და განსაზღვრავს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები იმგვარადაა აგებული, რომ აქცენტი კეთდება საგნისათვის საჭირო კომპონენტებზე. ჩანს რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა გამოიყენოს სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად და მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **რჩევა**სამივე საფეხურზე კურიკულუმების თავფურცელში მითითებული იყოს ჯამური საათობრივი განაწილება წლიური ან სემესტრული საათობრივი დატვირთვის სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმის განხილვისა და ინტერვიუს შედეგიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ყველა კლასის კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად). შუალედური

	მიზნების სახით წარმოდგენილია დავალებები (დავალების იდეა), რომელთა შერჩევა განხორციელებულია კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეული დავალებები იძლევა სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურად ჩართვის, ფუნქციური უნარების განვითარების საშუალებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე, მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საინფორმაციო ტექნოლოგიები	ყველა კლასის საგნობრივ კურიკულუმებში მასწავლებლების მიერ გაწერილი აქტივობები ორიენტრიებულია მოსწავლეთა განვითარებაზე. წარმოდგენილი მასალებით დასტურდება კათედრის წევრებს შორის მოსაზრებების გაზიარება, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის გამოყენება. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია კი იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას. დავალებების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები, საჭიროებები და ინტერესი. თითოეული თემა, აქტივობა და დავალება გათვლილია მოსწავლის უნარების, ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებებსა და ციფრულ საჭიროებებზე. სწავლება ხდება ინტერაქციული, პრაქტიკული და ღია რესურსებზე დაყრდნობით, რაც აღვივებს მოტივაციას, ხელს უწყობს ციფრული კომპეტენციების განვითარებასა და ამყარებს კავშირს რეალურ სამყაროსთან. თუმცა მე-3 კლასის კურიკულუმში მითითებულია სამიზნე ცნება „კომპიუტერის აგებულება“, ნაცვლად „კომპიუტერის ფუნქციონირების პრინციპების“ (მოქმედი საგნობრივი სტანდარტი). ასევე სამიზნე ცნების კომპონენტში წარმოდგენილ სამიზნე ცნებასთან ერთად მითითებულია დასამუშავებელი თემის/თემების ქვესაკითხები. **რჩევა:**

	• **დაწყებით საფეხურზე** სასურველია, გადაიხედოს საგნობრივი კურიკულუმები და თითეული სამიზნე ცნება მოყვანილ იქნას შესაბამისობაში საგნობრივ სტანდარტთან (მაგ, მე-3 კლასი - კომპიუტერის აგებულება, სამიზნე ცნებაა „კომპიუტერის ფუნქციონირების პრინციპები“); • სასურველია, საფეხურის დონეზე დაფარულ იქნას ყველა სამიზნე ცნება სტანდარტის მიხედვით რეკომენდირებული ცნების შესაბამისი საკითხებით; • სასურველია, დაკორექტირდეს კურიკულუმის ჩართო შუალედური დავალებით ორი ან მეტი სამიზნე ცნების დამუშავების შემთხვევაში, სამიზნე ცნების შესაბამისი საკითხები მიეთითოს სამიზნე ცნების გასწვრივ; • ჩარჩო კურიკულუმის თითოეული კომპონენტი შეივსოს შესაბამისად. დავალების იდეის სათაურთან ერთად იყოს ამ დავალების მოკლე აღწერა, კონტექსტ-მაგალითის ან რესურსების ყველა ბმული იყოს აქტიური და სამიზნე ცნების/საკითხების შესაბამისი; საკითხების სვეტში მიეთითოს არა ქვესაკითხები, არამედ საგნობრივი სტანდარტით რეკომენდირებული საკითხები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, კურიკულუმებში გაწერილია თემები საგნობრივი სტანდარტების მიხედვით, გრძელვადიანი მიზნები და შუალედურ მიზნებად მოაზრებულია შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც მასწავლებლებთან გასაუბრებით როგორც ჩანს, შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით. **რჩევა:** კურიკულუმში გაიწეროს სასწავლო საათები როგორც ჯამურად ასევე თემების მიხედვით, ყველა კლასში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი ყველა სავალდებულო თემა-კლასების მიხედვით. თითოეული თემის ფარგლებში, მუშავდება ყველა ძირითადი საკითხი და ყველა სამიზნე ცნება შესაბამისი ქვეცნებებით, შემოქმედებითი ბუნების დავალებების კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ (საფეხურის შედეგებისა და სამიზნე ცნებებისკენ,.) პედაგოგენთან გასაუბრებისას გამოიკვეთა,რომ სასწავლო პროცესში მიმდინარე აქტივობები ემსახურება დავალების კრიტერიუმების თანმიმდევრულ დამუშავებას, დავალების ცალკეული კომპონენტები ითვალისწინებენ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს და კეთებით სწავლების სტრატეგიებს, ხელს უწყობენ მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების,შემოქმედებითობის, თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.ძირითადი საკითხების დამუშავებისთვის განსაზღვრულია საკმარისი დრო. ხოლო მთლიანი თემისთვის დათმობილი დრო შესაბამისია სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვისა და სემესტრული განაწილების. **რჩევა:** სასურველია, **დაწყებით საფეხურზე,** მე-3 და მე-4 კლასების ბუნებისმეტყველების საგნობრივი წლიური პროგრამების ამსახველ დოკუმენტში-კურიკულუმში ისევე ზუსტად აისახოს თემებისა და სამიზნე ცნებების მჭიდრო კორელაცია საგნობრივ სტანდარტთან, როგორც ეს არის დაწყებითის დანარჩენ კლასებსა და საბაზო/საშუალო საფეხურების საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზანს. ჩანს სამიზნე ცნებებზე ორიენტირება, გამოყენებულია ქვეცნებები, საფეხურის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმში შეტანილი სასწავლო თემები და შემოქმდებითი დავალების პირობები შეესაბამება კონსტრუქტივისტულ სასწავლო მიდგომას. სასწავლო მიზნების სახით, კურიკულუმში მითითებულია უცხო ენის სტანდარტის სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და

	საფეხურის შედეგები, რომლებიც შესაბამის თემატურ ბლოკებთან ერთად, ხელ შეუწყობს მოსწავლეს მიაღწიოს უცხო ენის, შესაბამისი საფეხურის სტანდარტებით გაწერილ მიზნებს. **რჩევა**: **დაწყებით საფეხურზე** ინგლისური ენის კურიკულუმებში, სასურველია სამიზნე ცნებები არ იყოს წარმოდგენილი ზოგადი, ფართო სახით, არამედ იყოს მეტად დაკონკრეტებული ქვეცნებებისა და საფეხურის შედეგების მიხედვით. ასევე დაწყებით საფეხურზე, სასურველია მითითებული იყოს შესაბამისი (I-IV კლასების) სტანდარტის სამიზნე ცნებები და შედეგები. **საბაზო საფეხურზე** (მე-7-მე-10 კლასები), ინგლისური ენის კურიკულუმში, სკოლამ, საშუალოს საფეხურის ნაცვლად, უნდა მიუთითოს საბაზო საფეხურის სტანდარტის გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და შედეგები). შემოქმედებითი დავალების პირობები, როგორც შუალედური მიზნები, უფრო ვრცლად უნდა იყოს გაწერილი (ინგლისური ენის კურიკულუმში), რათა მკაფიო წარმოდგენას იძლეოდეს თუ რა მიზნის მიღწევაზეა ორიენტირებული ესა თუ ის დავალება. სკოლას საკმაოდ ბევრი შემოქმედებითი აქტივობა (შუალედური მიზანი) აქვს გათვალისწინებული კურიკულმში. როგორ ვიზიტის დროს აღინიშნა, ყველა მათგანის განხორციელებას ვერ ახერხებენ. შესაბამისად, სასურველია სკოლამ მხოლოდ იმ რაოდენების შემოქმედებითი დავალებები (შუალედური მიზნები) დაგეგმოს, რომლებსაც რეალურად განახორციელებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის **დაწყებითი**, **საბაზო და საშუალო** საფეხურის კურიკულუმი საგან მუსიკაში, ასევე საშუალო საფეხურის კურიკულუმი საგანში სახვით და გამოყენებით ხელოვნება-მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, სადაც წარმოდგენილია გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში შერჩეული შემოქმედებითი დავალების იდეები, სამიზნე ცნებები და შედეგები, ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და იძლევა შესაძლებლობას განისაზღვროს მოსწავლის ჩართვა პროცესში. **ვიზიტის დროს სკოლას ჰქონდა ხარვეზი: დაწყებით და საბაზო საფეხურებზე** სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კურიკულუმებში არ იყო მოცემული თემატური ბლოკი, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. შესაბამისად, სკოლის მიერ წარმოდგენილ

	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კურიკულუმი **დაწყებით და საბაზო საფეხურებზე** არ მიემართებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში დანართის სახით წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები სახვით და გამოყენებით ხელოვნების საგანში, თემატური ბლოკებით, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებების დამუშავება ხერხდება სავალდებულო თემის ფარგლებში. შერჩეული ძირითადი და დამხმარე ტექსტები, კონტექსტმაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები ხელს უწყობს ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას. თუმცა იკვეთება მცირე უზუსტობებიც, რაც გასაუბრების დროს დაკონკრეტდა და გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ-ს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებსაც აუცილებლად გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავებისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სწავლების სამივე საფეხურზე, ყველა კლასის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სახით. მიზნის მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია შემოქმედებითი ან შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელზეც მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, უვითარდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება (პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის პროცესში). დოკუმენტების განხილვისა და ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, გრძელვადიან მიზნებს. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის

	მოთხოვნაზე,მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას სამივე საფეხურზე კურიკულუმი შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტზე დაყრდნობით, ითვალისეინებს საგნის მიზნებს , შედეგებს და საგნის სამიზნე ცნებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საინფორმაციო ტექნოლოგიები	წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებული საგნობრივი სამიზნე ცნებები და შედეგების მისაღწევი შუალედური მიზნები. საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია პრიორიტეტული მიმართულეებისა და სამიზნე ცნებების შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. წარმოდგენილი საკითხები/თემები ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებასა და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; სამიზნე ცნებები მუშავდება როგორც კლასის, ისე საფეხურის დონეზე. თუმცა არ მუშავდება სამიზნე ცნების შესაბამისი ყველა საკითხი საგნობრივი სტანდარტიდან. ზოგიერთ შემთხვევაში კი დოკუმენტაციით წარმოდგენილი/შესრულებული დავალებები (შემაჯამებელი დავალება, მასწავლებლის წლიური ანგარიში) არ არის ასახული საგნობრივ კურიკულუმში. მაგ, მე-4 კლასში მასწავლებლის ანგარიშის მიხედვით მუშავდება სამიზნე ცნება „კომპიუტერის ფუნქციონირების პრინციპები“, მაგრამ ამ კლასში კურიკულუმით არ არის გათვალისწინებული. **რჩევა: დაწყებით საფეხურზე** სასურველია მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალებები, შემაჯამებელი დავალებები, ასევე მასწავლებლის ანგრიშში ასახული დავალებები შესაბამისობაში მოვიდეს შესაბამისი კლასის საგნობრივ კურიკულუმთან; კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებები იყოს დროში განხორციელებადი ერთი კვირეული საათის შემთხვევაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. მასწავლებლებმა სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრეს გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები, შუალედური სასწავლო მიზნები გაწერილი აქვთ კურიკულუმში შემოქმედებითი ტიპის დავალების სახით. უნდა აღინიშნოს, რომ I- IV კლასებში სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, შემოქმედებითი ტიპის დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩანს თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმის ჩარჩოებში, საკითხის გასწვრივ რესურსების გრაფაში წარმოდგენილი ძირითადი/გრიფირებული სახელმძღვანელო (შესაბამისი გვერდების მითითებით) უზრუნველყოფს ყველა ძირითადი საკითხის დაფარვას. დამხმარე საგანმანათლებლო რესურსი-მატერიალური/ელექტრონული (შესაბამისი წყაროს და ელ.მისამართის მითითებით) არის მიზნობრივი, საკმარისი, ხელმისაწვდომი და მრავალფეროვანი. ხელს უწყობს მასალის უკეთ ათვისებას და სხვადასხვა სასწავლო სტილის მქონე მოსწავლეების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. **რჩევა:** სასურველია, **სამივე საფეხურის** კურიკულუმებში ყველა ძირითად საკითხთან მიმართებით იყოს სრულად შევსებული რესურსების გრაფა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში უხვადაა წარმოდგენილი სასწავლო რესურსები, თითოეული მათგანი საინტერესოა, საკითხზე ორიენტირებული და, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს რესურსები ნამდვილად უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო შედეგის მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	უცხო ენის კურიკულუმიდან გამომდინარეობს, რომ სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს გრიფირებულ ან განათლების სამინსტროსთან შეთანხმებულ სახელმძღვანელოებს, როგორც ძირითად რესურს. სკოლას შერჩეული აქვს დამატებითი ელექტრონული რესურსები, რომლებიც შეესაბამება კონკრეტულ თემატურ ბლოკებს და მიზნებს. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები საკმარისია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე, მუსიკის საგნის **დაწყებით, საბაზო და საშუალო** საფეხურებზე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია ძირითადი სასწავლო რესურსით (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ასევე დამატებითი რესურსებით: ვიდეო-ფილმები, ფოტო მასალა, ბმულები. ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. **რჩევა**: სასურველია მასწავლებლებმა **სამივე საფეხურის** კურიკულუმების შესაბამის ველში სრულად შეიტანონ ის ელექტრონული ბმულები თუ მატერიალური რესურსები, რომლებსაც იყენებებენ გაკვეთილებზე. **ვიზიტის დროს** სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კურიკულუმში **დაწყებით და საბაზო საფეხურებზე** არ იყო მოცემული თემატური ბლოკი, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფდა მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებული პოზიციის დოკუმენტში დანართის სახით წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები სახვით და გამოყენებით ხელოვნების საგანში, თემატური ბლოკებით, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. რომელშიც ასახულია საგანმანათლებლო რესურსები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია შერჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოზე. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. **რჩევა:** მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, **განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურებზე** სასურველია რესურსების გამრავალფეროვნება. რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, მიუთითეთ აუდიო-ვიდეო მასალა, რესურსები შესაბამისი ბმულებით,რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე კურიკულუმებში გათვალისწინებულია რესურსი, გრიფირებული თუ დამატებითი(სახელმძღვანელო და ელექტრონული რესურსი), რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესების დაგეგმისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონი სეთი სასწავლო თემები, რომლის განხორციელებასაც შეძლებენ არსებული მატერიალური რესურსით, ელექტრონულ რესურსად წარმოდგენილი იყო ასევე შესაბამისი გზამკვლევები სახეობების მიხედვით, შექმნილი ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საინფორმაციო ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებიდან, სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმებიდან ჩანს, რომ მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან რესურსებს, როგორც ელექტრონულ, ისე ბეჭდურ რესურსებს. თუმცა კათედრის სხდომის ოქმით განსაზღვრული რესურსების ჩამონათვალში არ არის განსაზღვრული ძირითადი და დამატებითი რესურსების ჩამონათვალი. **რჩევა:** • სასურველია, კათედრის სხდომის ოქმით **დაწყებით საფეხურზე** რესურსების დანართით გათვალისწინებული იყოს როგორც საგნობრივი კურიკულუმით

	გათვალისწინებული ელექტრონული და ბეჭდური რესურსები, ისე სსსმ მოსწავლისათვის გათვალისწინებული ის რესურსები, რომელიც წარმოდგენილია სსსმ მოსწავლის ინდუალურ სასწავლო გეგმაში (საგანი - კომპიუტერული საინფორმაციო ტექნოლოგიები); • სასურველია, რესურსების შერჩევისას მასწავლებელმა გაითვალისწინოს რესურსების შერჩევის ვალიდაციის წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებული.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვთ როგორც ძირითადი სასწავლო სახელმძღვანელოები და რვეული, ასევე დამატებითი რესურსები, მაორგანიზებელი სქემები, ელ. რესურსები. წარმოდგენილი რესურსები კურიკულუმში გაწერილი მიზნების მიღწევისთვის სარწმუნო საშუალებაა. **რჩევა**: მათემატიკაში **მე-2 კლასის** კურიკულუმში გაიწეროს დამხმარე და ციფრული რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი ისგ-ები, წარმოებული დიფერენცირებული დავალებები (სადაც აქტივობა/აქტივობები დიფერენცირებულია მაღალი, საშუალო, დაბალი მზაობის მოსწავლეებისათვის) სასწავლო პროცესში ორგანიზების სხვდასხვა ფორმის გამოყენების პრაქტიკა (ინდივიდუალური, ჯგუფური, წყვილები,), მოსწავლეთათვის თავისუფლების მიცემა აირჩიონ -პროდუქტის ფორმა (პოსტერი, ბუკლეტი, ესე, მოდელი და ა.შ) წარდგინების ფორმა და საშუალება (ზეპირი, წერითი, ელექტრონული, მატერიალური) ასევე კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსების ადაპტირების შესაძლებლობა, მასწავლებელს აძლევს საშუალებას, მოარგოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა თუ სასწავლო ტემპს და ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ კარგად ესმით რამდენად მნიშვნელოვანია, სასწავლო პროცესი იყოს ინკლუზიური . მათ გამოკვეთეს ყველა ის დიფერენცირებული მიდგომა, რომელსაც სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლა იყენებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს სასწავლო პროცესში. სკოლას შედგენილი აქვს ინდივიდუალირი სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის (მე-3, მე-5, მე-9 და მე-10 კლასებში). სკოლის მიერ წარმოდგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში გაწერილია ადაპტირებული სასწავლო პროგრამა და აქტივობები. **რჩევა:** სკოლამ **დაწყებით და საბაზო საფეხურებზე** ინდ. გეგმით გათვალისწინებული აქტივობები მოარგოს მესამე თაობის, ეროვნული სასწავლო გეგმის, უცხო ენის სტანდარტის გრძევადიან მიზნებსა და საფეხურის შედგებს, რაც ზოგიერთ შემთხვევაში გასაუმჯობესებელია, კერძოდ: ინგლისური ენაში, მე-3-მე-5 კლასები და რუსულ ენაში - მე-5კლასი. ასევე, სასურველია ინდ. გეგმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება ტარდებოდეს ყოველი სემეტრის ბოლოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები, როგორც სხვადასხვა საგანში, ისე ესთეტიკის კათედრაზე, რითაც გამოხატავს მზაობას სსსმ მოსწავლეების სწავლების მიმართ და მათთვის ინდივიდუალური გეგმების შემუშავებისთვის. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება რომ მოსწავლეთა ინტერესების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ხდება სასწავლო აქტივობების დაგეგმვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე მასწავლებლებს აქვთ დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება.გასაუბრებამაც ცხადყო,რომ მასწავლებლები ,მოსწავლის საჭიროებიდან

	გამომდინარე, დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას ახდენენ სწავლის სტილის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულიმების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებელებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შესთავაზონ რესურსები და სასწავლო მასალა მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რათა გაზარდონ მათი ჩართულობა და ხელი შეუწყონ ცოდნის კონსტრუირებას. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება, წარმოდგენილი აქვთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები, და მოდიფიცირებული დავალებები, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სასწავლო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები, რაც გამოიხატება მრავალფეროვანი, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით და საჭირო რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საინფორმაციო ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი განხორციელებისას გამოყენებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები. მასწავლებელთან გასაუბრების დროს დადასტურდა, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და სწავლის ტემპს, რაც ხელს უწყობს უფრო თანასწორი და მხარდამჭერი სასწავლო გარემოს შექმნას. მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა ტიპის აქტივობებს და რესურსებს, რაც ზრდის ხელმისაწვდომობასა და მონაწილეობის ხარისხს. დიფერენცირებული სწავლების კუთხით, მასწავლებელი იყენებს დავალებებისა და აქტივობების სხვადასხვა ფორმებს, გეგმავს მოდიფიცირებულ შემოქმედებით დავალებებს, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტებით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სსსმ მოსწავლისათვის წარმოდგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში არასწორადაა მითითებული სამიზნე ცნება. მაგ, მე-2 კლასში სამიზნე ცნება - კომპიუტერის

	აგებულება. ასევე ზოგიერთ კომპონენტში არ არის მითითებული სამიზნე ცნება. ამასთანავე მე-2 კლასის საგნობრივი კურიკულუმით არ არის გათვალისწინებული სამიზნე ცნების - კომპიუტერის ფუნქციონირების პრინციპების - დაფარვა (მხოლოდ მე-3 კლასშია). **რჩევა: დაწყებით საფეხურზე** • სასურველია, გადაიხედოს სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და თითოეული კომპონენტი შესაბამისობაში მოვიდეს საგნობრივ სტანდარტთან; • სასურველია, ისგ-ში დაიფაროს ის სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი კლასის საგნობრივი კურიკულუმით, შესაძლებელია წინა კლასის, მაგრამ არა მომდევნო კლასის კურიკულუმით განსაზღვრული საგნობრივი ცნების შესაბამისი საკითხებისა; • სასურველია, სკოლის მიერ შემუშავებულ იქნას შემოქმედებითი დავალების ბარათი მშობელთათვის/მოსწავლეთათვის, სადაც მოცემული იქნება დიფერენცირებული დავალებები მზაობის მიხედვით, ასევე მრავალდონიანი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას, დავალებები და მათზე მუშაობის პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს და ინტერესს, პედაგოგებმა გასაუბრებაზეც აღნიშნეს რომ სკოლა დიდ ყურადღებას აქვეცს დიფერენცირებას, რაც საფუძვლიანი დიფერენცირების საშუალებას იძლევა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მოსწავლეების ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შეფასების რუბრიკები, სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს მოსწავლის პროგრესს დინამიკაში და ასევე მიღწევის დონეს სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებთან

	მიმართებაში. მოიცავს მკაფიო კრიტერიუმებს, რაც მნიშვნელოვანია შეფასების ობიექტურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, სამართლიანობისა და ვალიდურობისთვის, ასევე ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითშეფასების უნარის განვითარებას, პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ხაზი გაუსვეს განმავითარებელი შეფასებისა და უკუკავშირის მნიშვნელობას, სკოლა გეგმავს განახორციელოს სადიაგნოსტიკო შეფასებები, რაც ხელს შეუწყობს საჭიროებების ზუსტ და დროულ განსაზღვრას შესაბამისი რელევანტური ღონისძიებების დასაგეგმად და ასამოქმედებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ისინი იყენებენ მრავალფეროვან შეფასებას, მაგალითად არის როგორც განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ისე განმასზღვრელი შეფასების რუბრიკები. რამდენიმე კლასში არის მოცემული ცნებებზე დაფუძნებული განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. უმჯობესი იქნებოდა ყველა საგანსა და ყველა კლასში შექმნილიყო სწორედ სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას, რისთვისაც გამოიყენება შფასების რუბრიკები. სკოლას წარმოდგენილი აქვს როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც კრიტერიუმად იყენებს უცხო ენის სტანდარტის გრძლევადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებსა და საფეხურის შედგებს). **რჩევა:** აუცილებელია, კრიტერიუმებად სკოლამ იხელმძღვანელოს კონკრეტული საფეხურის შესაბამისი სტანდარტის გრძლევადიანი მიზნებით, რათა თავიდან იქნას აცილებული სამიზნე ცნებებისა და შედეგების აღრევა. მაგალითად, ინგლისურ ენაში ნიმუშად წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის შეფასების რუბრიკებში, კრიტერიუმებად მითითებულია საბაზო საფეხურის სტანდარტის სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საფეხურის შედგები. ასევე, საშუალო საფეხურის შეფასების რუბრიკებში მითითებულია საბაზო

	საფეხურის სტანდარტის სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საფეხურის შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილია შეფასების სისტემა მუსიკის საგანში დაწყებით და საბაზო და საშუალო საფეხურზე, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, შემუშავებულია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **რჩევა:** სახვით და გამოყენებით ხელოვნების საგანში **დაწყებითი და საბაზო საფეხურებზე** შეიქმნას: განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კურიკულუმში გაწერილი თემების ფარგლებში სამიზნე ცნების, მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით, შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით. უმჯობესია X-XI კლ. მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროექტული სწავლების ფასილიტაციის და აქტიური მონიტორინგის შედეგები კონკრეტულად აისახოს შეფასების რუბრიკებში. **ვიზიტის დროს** სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კურიკულუმში **დაწყებით და საბაზო საფეხურებზე** (I-IX კლასი) არ იყო მოცემული თემატური ბლოკი რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. შესაბამისად, მოსწავლის შეფასების სისტემა არ იყო შესაბამისობაში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებთან და ამოცანებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებული პოზიციის დოკუმენტში დანართის სახით წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები სახვით და გამოყენებით ხელოვნების საგანში, თემატური ბლოკებით, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. წარმოდგენილი დოკუმენტით, შეფასების სისტემა პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. სახელმწიფო ენის პედაგოგებმა

	წარმოდგინეს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. **რჩევა: საბაზო და საშუალო საფეხურებზე** შეფასების რუბრიკები სასურველია მორგებული იყოს კონკრეტულ დავალებებზე, რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს რას აფასებთ, მოლოდინები მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბეთ სამიზნე ცნებასთან მიმართებით მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით. შემოქმედებითი ტიპის დავალება შეაფასეთ შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკით. შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს, საფეხურის შედეგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	შეფასების კრიტერიუმები იძლევა საშუალებას შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი, გამოვლინდეს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. სტანდარტის შესაბამისად ახდენენ დაკვირვებას მოსწავლეთა განვითარების დინამიკაზე. ორიენტირებული არიან სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. შეფასების სისტემა არის ვალიდური. შეფასების კრიტერიუმები მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასებისთვის წარმოდგენილი აქვთ, როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკები, ასევე კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კარგადაა გამოკვეთილი კონკრეტული შეფასების ინდიკატორებით, რომელ მკვიდრ წარმოდგენებს ეუფლება მოსწავლე. აქვთ ასევე სადიაგნოსტიკო შეფასების რუბრიკაც, რომლის გამოყენებასაც კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საინფორმაციო ტექნოლოგიები	მასწავლებლის მიერ წარმოდგენილია როგორც განმვითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც, ძირითადად, შესაბამისობაშია საგნობრივ სტანდარტთან, მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ; აღწერს როგორც მასწავლებლის მოლოდინს, ისე მოსწავლის განვითარებას. შეფასების კრიტერიუმები თანხვედრაშია საგნობრივი

	სტანდარტით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებსა და თემებთან. თუმცა სოლოტაქსონომიით წარმოდგენილი შეფასების სქემაში არასწორადაა მითითებული სამიზნე ცნებები. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ მოახდინოს სოლოტაქსონომიით წარმოდგენილი შეფასების რუბრიკის კორექტირება, გაიწეროს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებები; სასურველია, წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით გათვალისწინებული კრიტერიუმები ჩაიშალოს ქვეკრიტერიუმებად შეფასების დონეების მიხედვით (გამოყენებულ იქნას მრავალდონიანი შეფასების რუბრიკები). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას ყველა საგანში წარმოდგენილი აქვს შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების რუბრიკები. რუბრიკები საშუალებას იძლევა შეფასდეს გრძელვადიანი მიზნის მიღწევა. რუბრიკები კონკრეტულია, მორგებულია საკითხს, მიემართება გრძელვადიან მიზანს. გასაუბრებაზე ასევე გაგვაცნეს რომ საგაკვეთილო პროცესში იყენებენ აქტივობათა შეფასების ვერბალურ ხერხს, ასევე მოსწავლეთა ურთიერთსეფასებას და თვითშეფასების მოდელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკების ნიმუშები
- კათედრის ანგარიშები
- კათედრების ოქმები
- სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია
- პედ. საბჭოს ოქმები
- საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი-გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოეები, დამხმარე ლიტერატურა
- ინდ. გეგემის ნიმუშები
- სასკოლო სასწავლო გეგმა კონცეპტუალური ნაწილი 2025-2026 სასწ. წელი
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი

- შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები
- კონფერენციის პრეზენტაცია (კათედრის მუშაობის ამსახველი)
- შემაჯამებლის ანალიზის ნიმუშები
- მუსიკალური გუნდის სამოქმედო გეგმა
- შინაგანაწესი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება შეესაბამება კურიკულუმში გაწერილი თემის თუ ძირითადი საკითხებისთვის დათმობილი საათების რაოდენობას, სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობები და გამოყენებული

	საგანმანათლებლო რესურსები დაგეგმილი კურიკულუმის შესაბამისია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგებთან დიალოგისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში ისინი ითვალისწინებენ კურიკულუმით განსაზღვრულ საკითხებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მიჰყვება შემუშავებულ კურიკულუმებს. იფარება კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო თემატური ბლოკები და ხორციელდება კურიკულუმში შეტანილი შემოქმედებითი დავალებები, რომლის დასტურად სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა ნამუშევრები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე, წარმოდგენილი მუსიკის, ასევე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალო საფეხურის კურიკულუმებში განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები. თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, რომელთა დაძლევას/გააზრებას ემსახურება თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები, განსაზღვრულია ქვეცნებები. კურიკულუმებში წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალების იდეები, რაც ამთლიანებს და წარმართავს პროცესს. **რჩევა:** კათედრამ სამუშაო პროცესის გაანალიზების და შედეგების შეჯამების შემდეგ, პროცესში წარმოშობილი წინააღმდეგობების შესაბამისად, მიგნებებისა და საჭიროებების მიხედვით ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში. **ვიზიტის დროს** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კურიკულუმებში დაწყებით და საბაზო საფეხურებზე არ იყო მოცემული თემატური ბლოკი, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. შესაბამისად, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კურიკულუმებში არ ჩანდა საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი სასწავლო პროცესის დაგეგმვა სასკოლო

	კურიკულუმის შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებული პოზიციის დოკუმენტში დანართის სახით წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები სახვით და გამოყენებით ხელოვნების საგანში, თემატური ბლოკებით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი სტანდარტის და სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისადაა დაგეგმილი, აქცენტი კეთდება როგორც სახელმძღვანელოში შერჩეულ, ასევე სავალდებულო თემებსა და საკითხებზე. თემის ფარგლებში შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, სასწავლო პროცესი დაგეგმილია შერჩეული საკითხების გასააზრებლად. განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსები და აქტივობები, რაც ასევე გამოიკვეთა გასაუბრებისას. სახელმწიფო ენის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. განხორციელებული აქვთ სასწავლო-შემოქმედებითი პროექტები, მათგან აღსანიშნავია პროექტი ,,ჩვენ სცენაზე'' რომელმაც მოიცვა მთელი სასკოლო საზოგადოება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კათედრის წევრებთან გასაუბრება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. სავალდებულო თემების ფარგლებში განიხილება საკითხები, რომელთა დასამუშავებლად ცხრილში გაწერილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები და რესურსები. კომპლექსურ დავალებები, შესაბამისი აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სასწავლო პროცესი შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, ჩანს ზრუნვა და მხარდაჭერა, სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს და რეფლექსიების

	საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება დაგეგმილი კურიკულუმების მიხედვით, რაც განაპირობებს სწავლების კონსტრუქციულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საინფორმაციო ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულობას, სისტემურობას და მიზნობრიობას. თითოეული კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, ამოცანები და შედეგები კონკრეტული კლასის მიხედვით. სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები; წარმოდგენილი შესრულებული დავალებების პროდუქტები, მათ შორის შემოქმედებითი ნამუშევრები, ცხადყოფს, რომ სასკოლო კურიკულუმში გაწერილი დავალებები რეალურად განხორციელებულია. ამავე დროს სკოლის მიერ წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებით დამუშავებელი სამიზნე ცნება არ არის განსაზღვრული შესაბამისი კლასის საგნობრივ კურიკულუმში. **რჩევა:** სასურველია, სკოლის მიერ წარმოდგენილი ყველა სახის დავალება შესაბამისობაში მოვიდეს საგნობრივ კურიკულუმებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახორციელებენ იმ კურიკულუმებს, რომლებიც წარმოდგენილი აქვთ. წლის დასაწყისში და ბოლოს ხდება კათედრის შეხვედრა და კურიკულუმების განხილვა. ასევე წარმოდგენილი აქვთ კათედრის ოქმები, დამრიგგებლის ანგარიში, კათედრის ხელმძღვანელის ანგარიში, ურთიერთდასწრება/შეფასების ანგარიში, ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლითაც დასტურდება სასწავლო პროცესის წარმართვა კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მმართველობითი პროცედურები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და მოქნილობას მოულოდნელი გამოწვევების ან ცვალებადი საჭიროებების პირობებში. დოკუმენტების მიხედვით განსაზღვრულია ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვის მექანიზმები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ოპერატიულად აქტიურდება. მოქნილი რეაგირების პროცესი მოიცავს შემდეგ ძირითად ასპექტებს: პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფა, სასკოლო კალენდრისა და გეგმების მართვა, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება, დირექციის როლი პრობლემის გადაჭრაში, რესურსების მობილიზება. არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ მოსწავლეთა, მშობლებისა და პედაგოგიური გუნდის მხრიდან გამოვლენილ საჭიროებებზე სკოლა დროულად რეაგირებს. ამის მაგალითია როგორც ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შეთავაზება კონკრეტული აკადემიური ან სოციალურ-ემოციური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებელთა შორის გადანაწილების ან საათობრივი განრიგის კორექტირება სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ამრიგად, სკოლის მართვის სისტემა ორიენტირებულია არა მხოლოდ წინასწარ გაწერილი გეგმის შესრულებაზე, არამედ დინამიკურ რეაგირებაზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მდგრადობასა და ეფექტიანობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოსწავლეებისთვის მკაფიოა რა ცოდნის და უნარების წარმოჩინებაა საჭირო კონკრეტული სწავლის შედეგების მისაღწევად, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების კრიტერიუმებისა და ნიშნების დაანგარიშების წესის შესახებ, მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გამოავლინონ ცოდნა და უნარები მრავალფეროვან კონტექსტში, რუბრიკები მოიცავს მკაფიო და საგნობრივი სტანდარტის მიხედვით მისაღწევ შედეგებთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს. სკოლაში მოქმედებს ვერიფიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილია მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები. ისინი ნამდვილადაა ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	შეფასებისთვის სკოლა იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, კერძოდ მოსწავლეთა შეფასება ხდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკების მეშვეობით. ტარდება დიაგნოსტიკური შეფასება, კერძოდ მასწავლებელები აფასებენ თუ როგორ განხორციელდა კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებები, რა იყო დაგეგმილი, რა მოხდა სინამდვილეში, რა იყო შემაფერხებელი პირობები და სხვა. სკოლა ახორციელებს შემაჯამებელი დავალების ვერიფიკაციას შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. სკოლის შეფასების ჯგუფი ასევე აფასებს კურიკულუმის განხორციელებას, რომლის დასტურადაც სკოლას წარმოდგენილი აქვს სასწავლო პროცესის შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე წარმოდგენილია საშუალო საფეხურის მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შეფასების რუბრიკის ნიმუშები, რომელიც ნაწილობრივ მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს, ასევე დაწყებითი, საბაზო საფეხურის მუსიკის საგნის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები შემუშავებულია კურიკულუმში არსებული შინაარსისა და მისაღწევი შედეგების მიხედვით, საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, შეფასების რუბრიკის ნიმუშები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს, მორგებულია სასწავლო თემებზე და სამიზნე ცნებებზე. მოსწავლეთათვის შეფასების რუბრიკები ნაცნობია, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური. **რჩევა:** სახვით და გამოყენებით ხელოვნების **საგანში დაწყებითი და საბაზო საფეხურებზე** შეიქმნას: განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კურიკულუმში გაწერილი თემების ფარგლებში- სამიზნე ცნების, შედეგების მიღწევის ინდიკატორებსა და მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით. ასევე უმჯობესია X-XI კლ. მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროექტული სწავლების ფასილიტაციის და აქტიური მონიტორინგის შედეგები კონკრეტულად აისახოს შეფასების რუბრიკებში. დაკონკრეტდეს შეფასების კომპონენტები - ჩანდეს სამიზნე ცნებები, საგნის სტანდარტის მისაღწევი შედეგები.

	ვიზიტის დროს სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კურიკულუმში **დაწყებით და საბაზო საფეხურებზე** (I-IX კლასი) არ იყო მოცემული თემატური ბლოკი, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. შესაბამისად სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კურიკულუმში არ ჩანდა საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი საგნის შედეგების ინდიკატორები, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას, სამართლიანობას. სკოლის მიერ წამოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის დოკუმენტში დანართის სახით წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები სახვით და გამოყენებით ხელოვნების საგანში, თემატური ბლოკებით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. კურიკულუმებს თან ახლავს შემოქმედებითი დავალების შეფასების რუბრიკის რამდენიმე ნიმუში. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და მორგებულია სასწავლო თემებზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად შეფასების სისტემა მოსწავლეთათვის ნაცნობია რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას, სამართლიანობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებული.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს.შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს პროცესის სიცხადესა და სანდოობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	პედაგოგები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შეფასება შემოიფარგლებოდა ზეპირი კომენტარებით, მაგრამ ვინაიდან სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება, ახალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საინფორმაციო ტექნოლოგიები	მასწავლებლის მიერ წარმოდგენილია როგორც განმვითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც, ძირითადად, შესაბამისობაშია საგნობრივ სტანდარტთან, მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ; აღწერს როგორც მასწავლებლის მოლოდინს, ისე მოსწავლის განვითარებას. თუმცა სოლოტაქსონომიით წარმოდგენილი შეფასების სქემაში მითითებული სამიზნე ცნებები არ შეესაბამება საგნობრივ სტანდარტს (მაგ, მოქმედებები რიცხვებზე, ფორმულის გამოყენება) **რჩევა:** სასურველია, დაწყებით საფეხურზე სკოლამ მოახდინოს სოლოტაქსონომიით წარმოდგენილი შეფასების რუბრიკის კორექტირება, გაიწეროს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებები. ასევე შეფასების რუბრიკები შემუშავებული იყოს ყოველი კონკრეტული თემისთვის და ყველა ინდიკატორისთვის განისაზღვროს მოსწავლეთა ყველა დონის შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას წამროდგენილი აქვს შეფასების კონკრეტული, მიზნობრივი რუბრიკები რომელიც კონკრეტულ საკითხს და დავალებას მიემართება. გასაუბრებისას აღწერეს თუ როგორ ახალისებენ მოსწავლეს სხვადასხვა წამახალისებლებით, აწვდიან მათ კონკრეტულ, აქტივობებზე მორგებულ უკუკავშირს. კათედრა დიდ ყურადღებას აქცევს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის განუყოფელი ნაწილია. მისი მთავარი მიზანია იმის გარანტირება, რომ მოსწავლეთა შეფასება იყოს ზუსტი, ვალიდური, თანმიმდევრული და შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

კათედრას წარმოდგენილი აქვს: შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მასწავლებელების გაკვეთილებზე ურთიერთდაკვირვების ანალიზი, მასწავლებლის რეფლექსიები, კათედრის სხდომის ოქმი, სადაც გაანალიზებული და შეჯამებული აქვთ სწავლებაში არსებული მდგომარეობა სკოლის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი და პირობები. სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა დოკუმენტს აკლია კონკრეტიკა, ამასთან დაკავშირებით მიეცათ რჩევა, რომ გაითვალისწინონ აღნიშნული და იმუშაონ ამ დოკუმენტის დახვეწაზე. საერთო შეფასებით, მათ აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებების საშუალებით გამოიყენონ მოსწავლის შედეგების, სწავლის პროცესის დინამიკის ანალიზი და აწარმოონ სტატისტიკური შეფასებაც, რომლებიც ტიპური ვერიფიკაციის მეთოდებია. გარკვეული საგნების შემაჯამებელი სამუშაოს შეფასების სქემა მორგებულია შემაჯამებელი დავალებისა და საგნის სპეციფიკას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემადგენელ ნაწილს. პროცესი ხორციელდება შემდეგი მექანიზმებით:მონაცემთა სისტემატური აღრიცხვა, მტკიცებულებების შენახვის წესი, ვერიფიკაციის ჩანაწერები,არქივირება და მატერიალიზაცია, საქმისწარმოების კონტროლი.

სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების აღრიცხვა - შენახვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვთ მოსწავლეთა წლიური შეფასებები და სხვადასხვა ცნობები. მათზე პასუხისმგებლობა ეკისრება დირექტორის მოადგილეს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ყველა თანამშრომელი იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს და აწვდის ყველა მოთხოვნილ მონაცემს ადმინისტრაციას. სკოლა ინახავს კანონით განსაზღვრული ვადით არსებულ მონაცემებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- შემოქმედებითი დავალების ნიმუშები;
- შეფასების რუბრიკები
- სწავლო პროცესის შეფასების რუბრიკები
- დიაგნოსტიკური შეფასების ფორმები;
- კათედრების ანგარიშები
- კათედრის ოქმები
- სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია
- პედ. საბჭოს ოქმები
- საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი-გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, დამხმარე ლიტერატურა
- ინდ. გეგემის ნიმუშები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში განხორციელებულ აქტივობებში გამოიყენება დაგეგმილი, კურიკულუმში გაწერილი ძირითადი და დამხმარე (ელექტრონული თუ მატერიალური) საგანმანათლებლო რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ისინი საგაკვეთილო პროცესი იყენებენ კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს. მათ აღნიშნეს, რომ სკოლაში ნამდვილადაა ამის შესაძლებლობა, ყველანაირი პირობა აქვთ ამისთვის შექმნილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება ძირითადი რესურები, გრიფირებული სახელმძღვანელოები და ელექტრონული რესურსები, საგანმანათლებლო ვიდეო ლინკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ამასთან აქტიურად იყენებს თვალსაჩინოებებს, დამხმარე რესურსად იყენებს სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ბეჭდურ რესურსებს, როგორც თემებისა და საკითხების სახით, აგრეთვე ვიდეო-აუდიო რესურსის ფორმატით. მასწავლებლები გაკვეთილზე იყენებენ პერსონალურ კომპიუტერს, ხმის გამაძლიერებელს, პროექტორს- მოსწავლეთა პრეზენტაციების წარსადგენად. აქვთ კომპიუტერები და შეუძლიათ სხვადასხვა ელექტრონული ბმულების, აუდიო თუ ვიდეო მასალის გამოსაყენებლად ინტერნეტთან წვდომა. **ვიზიტის დროს** სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კურიკულუმში **დაწყებით და საბაზო საფეხურებზე** არ იყო მოცემული თემატური ბლოკი, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. გამომდინარე აქედან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კურიკულუმებში არ ჩანდა საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსის გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლის მიერ წამოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის დოკუმენტში დანართის სახით წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები სახვით და გამოყენებით ხელოვნების საგანში, თემატური ბლოკებით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. დოკუმენტში ჩანს საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და რამდენიმე დამხმარე სასწავლო რესურსის გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები,ინტერესები,საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია

	გრიფირებული სახელმძღვანელო, იშვიათად გვხვდება ციფრული რესურსები და მაორგანიზებელი სქემები. **რჩევა: სამივე საფეხურზე** კურიკულუმის შექმნისას რესურსების გრაფაში ასახონ როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე რესურსები. სასურველია (განსაკუთრებით V-XI კლასების) კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხის შესაბამისად, უზრუნველყოთ ელექტრონული თუ მატერიალური რესურსების მრავალფეროვნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო, ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო) და დამხმარე რესურსები - ვიდეო გაკვეთილები, რაც სასწავლო შედეგის მიღწევის საშუალებას იძლევა, ზრდის მოსწავლის მოტივაციას. გასაუბრებისას გამოიკვეთა წარმოდგენილი მატერიალური რესურსების გამოყენება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	გასაუბრების დროს კარგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან, როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საინფორმაციო ტექნოლოგიები	კურიკულუმით წარმოდგენილი ძირითადი ელექტრონული რესური რეკომენდირებულია განათლების სამინისტროს მიერ და სრულად შეესაბამება შესასწავლ საკითხებს. ელექტრონული რესურსების შერჩევისას ასევე გათვალისწინებულია როგორც მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, ისე ასაკობრივი შესაძლებლობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსების გამოყენება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში მითითებულია სახელმძღვანელოები, გვხვდება ციფრული რესურსები, მაორგანიზებელი სქემები, დამატებით რესურსებზე რომლებსაც აქტიურად იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	პედაგოგების მიერ შერჩეული და სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსები(ელექტრონული თუ მატერიალური) შეესაბამება ესგ-ს და კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს, ეხმარება მოსწავლეებს სწავლის შედეგების მიღწევაში, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაში. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას, კათედრებზე განიხილება ეს საკითხი, მიიღება შეთანხმებული გადაწყვეტილება და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, კათედრის მიერ შეირჩევა სასწავლო რესურსები. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს, იმას, თუ სასწავლო რესურსები რამდენად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და ამის შემდეგ ირჩევენ მათ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	რესურსების ვალიდაციის რაიმე ოფიციალური მარეგულირებელი დოკუმენტი სკოლას არ გააჩნია, თუმცა რესურსების ვალიდაცია ხდება კათედრის დონეზე. უცხო ენის კათედრის მასწავლებლები, ძირითად რესურსთან ერთად, არჩევენ კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო დამხმარე-ელექტრონულ რესურსებს. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის სხდომის ოქმით. **რჩევა**: სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს რესურსების შერჩევის ფორმა, რომელშიც დასაბუთებული იქნება კონკრეტული დამატებითი რესურსის ღირებულება და სარგებლიანობა, ასევე სკოლამ უნდა აღწეროს თუ რამდენად უწყობს ხელს დამატებითი რესურსები უცხო ენის სტანდატის გრძელვადიანი მიზნები მიღწევას; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს შესაძლებლობის ფარგლებში, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე პროექტების განხორციელების დროს. სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს ახალი დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია შესაბამისი წესით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდის და სპორტის რესურსები და სპორტული ინვენტარი მორგებულია გაწერილ კურიკულუმზე და სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნების განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საინფორმაციო ტექნოლოგიები	კათედრის ოქმით დასტურდება კათედრის პედაგოგების მიერ სწავლებისას გამოსაყენებელი საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის ფაქტი, მასწავლებელი იყენებს ისეთ რესურსებს, რომლებიც შეესაბამება სასწავლო მიზნებსა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მათი შინაარსობრივი სისწორე და სასწავლო მიზნებთან შესაბამისობა, რაც დადებითად აისახება სწავლების ხარისხზე. **რჩევა:** სასურველია, კათედრის სხდომის ოქმით **დაწყებითი საფეხურის** რესურსების დანართით გათვალისწინებული იყოს როგორც საგნობრივი კურიკულუმით გათვალისწინებული ელექტრონული და ბეჭდური რესურსები, ისე სსსმ მოსწავლისათვის გათვალისწინებული ის რესურსები, რომელიც წარმოდგენილია სსსმ მოსწავლის ინდუალურ სასწავლო გეგმაში (საგანი - კომპიუტერული საინფორმაციო ტექნოლოგიები); სასურველია, რესურსების შერჩევისას მასწავლებელმა გაითვალისწინოს რესურსების შერჩევის ვალიდაციის წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში დამხარე სასწავლო რესურსები ვალიდირებულია, რასაც ადასტურებს კათედრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა არის ახლად რეაბილიტირებული, საბუნებისმეტყველო საგნებისთვის გამოყოფილია ცალკე-ცალკე ფართი, ლაბორატორია და საპრეპარატორო ოთახი, სადაც ინახება შესაბამისი რესურსები,თვალსაჩინოებები,ქიმიური ჭურჭელი და პრეპარატები. ქიმიური რეაქტივები ინახება ცალკე საკეტიან კარადებში, დაცულ მდგომარეობაში, ლაბორატორიაში არის გამდინარე წყალი,კარგი ბუნებრივი ვენტილაცია, დასამონტაჟებელია განახლებული გამწოვი სისტემა, აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ძირითადად შესაძლებელია მარტივი სადემონსტრაციო ექსპერიმენტების განხორციელება და ასევე პროექტორის დახმარებით სხვადასხვა ექსპერიმენტების ჩვენება. რაც საკმარისი შეიძლება იყოს დაწყებითი საფეხურისთვის. **რჩევა:** სასურველია, **საბაზო და საშუალო საფეხურებზე** კეთებით სწავლების სტრატეგიის გამოყენების ხელშესაწყობად და სიღრმისეული სწავლებისთვის რეაქტივების მარაგის შევსება და განახლება, გამწოვი სისტემის დროული დამონტაჟება, საპრეპარატორო ოთახი განცალკევებულია და უმეტესწილად მიუწვდომელია მოსწავლეთათვის, თუმცა უსაფრთხოების სრული უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია, გამოყენების შემდგომ ადვილად მსხვრევადი ყველა მინის ჭურჭელი, ქიმიური პრეპარატების მსგავსად, აუცილებლად ინახებოდეს კარადაში, დაკეტილ მდგომარეობაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	როგორც პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, სკოლაში ნამდვილადაა შესაძლებელი კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაბამისი მატერიალური რესურსით, ყველა მოსწავლეს აქვს წვდომა საჭირო რესურსზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლას გააჩნია კურიკულიმის განხორციელებისთვის აუცილებელი როგორც მატერიალური ისე ადამიანური რესურსები. თითოეულ მასწავლებელს დადასტურებული აქვს საგნობრივი კომპეტენცია და კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს უფროსის/წამყვანის სტატუსი. სკოლა ძირითად რესურსებს იღებს სამინისტორსგან, შესაბამისად ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებით. სკოლას აქვს ინტერენეტი, კომპიუტერული ტექნიკა და პროექტორი, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლეებს მიაწოდებენ დამატებით ელექტრონულ რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე წარმოდგენილია სწავლის შედეგების მისაღწევი სხვადასხვა რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლას აქვს სასწავლო მატარიალური რესურსი, საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა უსაფრთხოება და მორგებულია დიფერენცირებულ საჭიროებებზე. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესის სრულყოფილია და შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა განსაზღვრავს და უზრუნველყოფს ეფექტური სასწავლო პროცესის განხორციელებას და განსაზღვრული შედეგების

	მიღწევას.მატერიალური და ადამიანური რესურსები სრულად უზრუნველყოფს საუკეთესო შედეგის მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საინფორმაციო ტექნოლოგიები	ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ შერჩეული რესურსები სრულად უზრუნველყოფს მოსწავლის განვითარების გზას, რომ რესურსები მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული ტექნიკა კი ხელს უწყობს მიღწეულ იქნას როგორც შუალედური, ისე გრძელვადიანი მიზნები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი და გასაუბრებაზე ხსენებული დამატებითი რესურსები, კათედრას საშუალებას აძლევს მიაღწიოს ესგ-თი გათვალისწინებულ შედეგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლა უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო კვალიფიციური ადამიანური რესურსით, რაც ითვალისწინებს როგორც პედაგოგიურ, ისე ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს. სკოლაში დასაქმებულია 40 პედაგოგი, მათ შორის 5 წამყვანი მასწავლებელი, 33 უფროსი მასწავლებელი. სკოლის 2 მასწავლებელი: ფიზიკისა და ფიზიკური აღზრდის/სპორტის ვერ აკმაყოფილებენ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მათ არ აქვთ მასწავლებლის სტატუსები. პედაგოგებს გააჩნიათ დამადასტურებელი დიპლომები, სერტიფიკატები. გარდა საგნობრივი მასწავლებლებისა, სკოლას ჰყავს სპეციალური პედაგოგები, ფსიქოლოგები და ასისტენტები, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლების წარმართვას. ადამიანური რესურსის მართვა ხდება სისტემურად და დამტკიცებული პოლიტიკის შესაბამისად, რაც ხელს უწყობს პროცესის სტაბილურობასა და განვითარებას. ვიზიტის დროს სკოლის 2 მასწავლებელი: ფიზიკისა და ფიზიკური აღზრდის/სპორტის ვერ აკმაყოფილებდნენ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ვიზიტის პერიოდშივე სკოლას ფიზიკის მასწავლებლის პოზიციაზე გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი, ხოლო რაც შეეხება ფიზიკური აღზრდის მასწავლებელს, სკოლას ჰყავს 3 მასწავლებელი, რომელთაგანაც 2 სტატუსის მქონეა, ხოლო 1 მოწვეული მასწავლებელია 10 საათით. სკოლის დირექციის განმარტებით, მომავალი სასწავლო წლიდან მოწვეული

მასწავლებლის დატვირთვა იქნება 9 საათი, ხოლო მეთერთმეტე კლასის 1 საათი დაემატება სტატუსის მქონე ერთ-ერთ მასწავლებელს. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც იგი გეგმავს, რომ აღნიშნული პროცესი დასრულდება 2026 წლის სექტემბრამდე და სკოლას ეყოლება ფიზიკასა და სპორტში სტატუსის მქონე მასწავლებლები. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადაში, 2026 წლის სექტემბრამდე, აიყვანოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- კათკათედრის სამოქმედო გეგმა;
- კათედრის ოქმები
- მოსწავლეთა ნაშორემი (შემოქმედებითი დავალებები);
- სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა;
- შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- პედაგოგთა რეფლექსიები;
- გაკვეთილის გეგმები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

კურიკულუმის განვითარება სკოლაში უწყვეტი პროცესია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების ფაზებს. მონიტორინგი გულისხმობს იმის აღწერას, თუ რამდენად მიმდინარეობს სასწავლო პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში, ხოლო შეფასება ადგენს, მოაქვს თუ არა დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. ეს პროცესი ხორციელდება დაგეგმვის ეტაპზე წინასწარ შეთანხმებული ფორმატით, ვადებითა და ინსტრუმენტებით. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი მჭიდროდ არის დაკავშირებული სასწავლო პროცესთან და ეფუძნება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

კურიკულუმის რევიზიისა და განახლების პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება უშუალოდ მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. მონაცემთა შეჯერების შედეგად სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტებს, რომლებიც მიზნად ისახავს სწავლის პროცესის ხარვეზების აღმოფხვრასა და პრობლემების გადაჭრას. ვერიფიკაციის მექანიზმის ფარგლებში დგება ანგარიში, სადაც იდენტიფიცირებულია ყველა პრობლემური საკითხი, რის შემდეგაც ჩართული

მხარეები ერთობლივად აჯერებენ მათი აღმოფხვრის გზებს. სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც იკვეთება საკვანძო საკითხები სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებასთან მიმართებით. გარდა ამისა, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ განხორციელებულ შემოქმედებითი ბუნების დავალებების რევიზიას ახორციელებენ პრობლემის გამოკვეთაზე ორიენტირებულად. მათ აქვთ სწორი ხედვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. შეუძლიათ მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენონ პრობლემების იდენტიფიცირებისა და მისი ეფექტურად გადაჭრისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების წევრების დახმარება და მხარდაჭერა. სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი" რომელიც დირექციასთან ერთად ინაწილებს პასუხისმგებლობას გააუმჯობესოს სწავლა-სწავლების ხარისხი, განავითაროს სკოლის თანამშრომლობითი კულტურა. ჯგუფი საქმიანობას ახორციელებს დამტკიცებული დებულების მიხედვით, რომლის თანახმად ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, შედეგების ანალიზი, დაკვირვების შედეგები განიხილება მასწავლებელთან ერთად და გაიცემა რეკომენდაციები მათი შესაძლებლობების გასაძლიერებლად. ვერიფიკაციის დოკუმენტის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების (ვერიფიკაციის) სისტემის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მასწავლებლების მხარდაჭერა და დახმარება მათი საქმიანობის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის. პროცესი ორიენტირებულია პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემებისა და პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებაზე, რაც საფუძველია მასწავლებელთა შემდგომი განვითარებისთვის. გარდა ამისა, მონიტორინგის შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურების დასაგეგმად და სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობითი პროცესების გასაძლიერებლად. დირექცია უზრუნველყოფს რეკომენდაციების შემუშავებას, რაც ეხმარება პედაგოგებს სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევების დაძლევასა და ინოვაციების დანერგვაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმიის შემუშავების და განვითარბის მეთოდოლოგიის დოკუმენტი

- ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია;
- კურიკულუმის ანალიზი;
- კათედრის ოქმები და ანგარიშები;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები, ანგარიშები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში შეფასების პროცესი კომპლექსურია და ეფუძნება სხვადასხვა ტიპის მონაცემებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი თანაბარ ძალას ანიჭებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს, რაც თავის მხრივ, მოიაზრებს სწავლის შედეგების დიაგნოსტირებას გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით მოსწავლის შემდგომი წინსვლის მიზნით. მოსწავლეთა შეფასება დაწყებით საფეხურზე ხორციელდება განმავითარებელი (I-IV და V კლასის პირველი სემესტრი) და განმსაზღვრელი (V კლასის მეორე სემესტრი-VI კლასები) შეფასების რუბრიკებით, ეყრდნობა შემაჯამებელი ტიპის დავალებების შედეგებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრები ცალკეულ ინსტრუმენტებზე და პრაქტიკებზე დაყრდნობით აწარმოებენ ჰოლისტურ შეფასებას. შეფასება არის ინტეგრირებული და ერთიანი და ამასთან, მონაცემების შეგროვება ხდება სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლის მიერ ყველა საგანში გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი წყაროსა და კონტექსტის გათვალისწინებით. მოსწავლეების შეფასება ხდება არამარტო აკადემიური მოსწრების მიხედვით, არამედ ითვალისწინებენ მოსწავლის მისწრაფებებს, მის უნარებს. ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორებს, კერძოდ, იმ სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზებს, რომლებმაც შესაძლოა მოსწავლეზე იქონიოს გავლენა და მომდინარეობდეს მისგან დამოუკიდებლად, მაგ: ფსიქო-ემოციური თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე,

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუს მიხედვით სკოლაში მოსწავლეთა მიღწევების შეფასება ხორციელდება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით. ასევე, იყენებენ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკებს, მოსწავლეთა შედეგების შეფასებისთვის გამოიყენება სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი (შუალედური წერები), რაც თითოეული მოსწავლის მიღწევებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შეფასების საშუალებას იძლევა.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, მასწავლებლები შეფასებას ახორციელებენ სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, რაც იძლევა მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინების საშუალებას, მისი მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას. მოსწავლეების შეფასება ხდება არამარტო აკადემიური მოსწრების მიხედვით, არამედ ითვალისწინებენ მოსწავლის მისწრაფებებს, მის უნარებს. შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. სისტემატურად ხდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, ვლინდება ძლიერი და სუსტი მხარე და მუშავდება რეკომენდაციები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სისტემატურად იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდებს. კერძოდ, გამოკითხვა, დაკვირვება, ინტერვიურება და სხვა. შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდებით ადგენენ მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა აზრს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. სკოლას აქვს და სამომავლოდაც გეგმავს შუალედური წერების განხორციელებას. ყოველივე ეს მოწმობს, რომ სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტის მიხედვით შეფასებისას მხედველობაში მიიღება ისეთი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე, მათ შორის: მოსწავლეთა ჩართულობა (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, ემპათია, ნებელობა), სასწავლო პრაქტიკის ეფექტურობა და მშობელთა ჩართულობის ხარისხი. ასევე, ფასდება მოსწავლეთა შედეგების დინამიკა წინა წლებთან შედარებით. ვერიფიკაციის პროცესში ხდება რისკების ანალიზი, რათა იდენტიფიცირდეს ის ინსტრუმენტები, სადაც შეუსაბამობის მაღალი ალბათობაა, და გამოირიცხოს ვერიფიკატორის პირადი ემოციების გავლენა საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების რუბრიკები;
- კითხვარები;
- მოსწავლეთა ნაშრომები;
- კათედრის ოქმები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

კურიკულუმის განვითარების პროცესი დაეფუძნება მუდმივ შესწავლასა და რეფლექსიას დასახული მიზნის მიღწევისა და პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლები ურთიერდასწრების და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. სკოლაში კურიკულუმის განვითარების პროცესი მოიცავს მონაცემთა სისტემურ შეჯერებას სხვადასხვა მიმართულებით, როგორიცაა მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა, აკადემიური შედეგები, კათედრებისა და დირექციის მუშაობა. ამ მონაცემების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას დაწერილ/შემუშავებულ და განხორციელებულ კურიკულუმს შორის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

საგნობრივი კურიკულუმების განვითარება ეფუძნება მასწავლებელთა მიერ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, თვითრეფლექსიას, მიგნებებსა და შეფასების შედეგებს. სკოლის მიერ დამტკიცებული კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილი რევიზიის პროცედურები იძლევა იმის საშუალებას, რომ სკოლამ ყოველწლიურად უზრუნველყოს სასწავლო წლის შეჯამებისას შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით კურიკულუმის გაუმჯობესება. კათედრის სხდომებზე მასწავლებლები განიხილავენ მიმდინარე პროცესს და გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის გზებზე დაყრდნობით ცვლიან თავიანთ პრაქტიკას. ცვლილებების ასახვა რევიზირებულ კურიკულუმში ვლინდება სასწავლო რესურსებისა თუ მიდგომების შეცვლით/დამატებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები;
- ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია;

- კურიკულუმის ანალიზი;
- კათედრის ოქმები;
- შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი: 31.03.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: